ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული არქიმანდრიტი სასამართლომ 1.500-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა

გვ.5

ორშაბათი, 26 ივნისი, 2023 №123 (9159) ფასი: 80 თეთრი

„პრიგოჟინი შეიძლება მოკლან, ან საეჭვო ვითარებაში იპოვონ გარდაცვლილი“

რატომ შეწყდა რუსული ამბოხი?!

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე:
„ტერიტორიების დაბრუნების ერთადერთი ვარიანტი არის, დასუსტდეს რუსეთი. მოითმინე, გაჩუმდი, ენას კბილი დააჭირე. ვერ ისწავლა ჭკუა ამ ხალხმა 30 წელია“

„პუტინის უძლეველობის მითი დაიმსხვრა“

სოსო ცინცაძე: „თავის დროზე ჰიტლერმა სტალინი მოსკოვიდან ვერ გააქცია. პუტინი მოსკოვიდან გაიქცა“

გვ.3

გვ.4

„რუსეთთან საზღვარი უნდა ჩაიკეტოს?!“

ამირან სალუქვაძე: „18 ივნისს პრიგოჟინი ერთ თანმხლებ პირთან ერთად მოსკოვში ფეხით იყო. შოიგუს სახელზე წერილი ჩაიტანა. შოიგუს უწყების თანამშრომელმა წერილი არ მიიღო. საერთოდ, პრიგოჟინს გაექცა და დაიმალა“

„პუტინმა ავტორიტეტი დაკარგა. ახლა შიგნიდან ილახება“

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ყაზახეთთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. „შუა დერეფანი“ კიდევ უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს“

გვ.4

5 ბადრი ესებუას „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების საქმეზე 13 წლით პატიმრობა მოესაჯა

2 პოდოლიაკი: „უკრაინა მზადაა, მიიღოს მიხეილ სააკაშვილი...“

5 ნაფიცმა მსაჯულებმა ქართველი „კანონიერი ქურდი“ დავით გერლიანი გაამართლეს

6 რატომ ფრთხილობს დასავლეთი?!

1993230720223

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პრიგოჟინი შეიძლება მოკლან, ან საეჭვო ვითარებაში იპოვონ გარდაცვლილი“

რატომ შეწყდა რუსული ამბოხი?!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

თორნიკე შარაშენიძე: „ტერიტორიების დაბრუნების ერთადერთი ვარიანტი არის, დასუსტდეს რუსეთი. მოითმინე, გაჩუმდი, ენას კბილი დააჭირე. ვერ ისწავლა ჭკუა ამ ხალხმა 30 წელია“

– ბატონო თორნიკე, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ განვითარებული პროცესები შეავფასოთ. რუსეთში განვითარებულმა ამბებმა, მარტო ქართული კი არა, მსოფლიო საზოგადოება დააბნიაო. რა იყო ეს ყველაფერი, რას ნიშნავდა?

– ჩვენთან ძალიან პოპულარულია შეთქმულების თეორიები. რა ვერსიები არ მოვისმინეთ. ახლა ამბობენ, რომ სპექტაკლი დადგეს და ა.შ. არაა საქმე ასე. რა მიზნით უნდა დაედგათ ასეთი სპექტაკლი? თავი გაიმასხარავეს მსოფლიოს წინაშე, რომ მოსკოვამდე მივიდა დაქირავებულების ჯარი? რა მოიგეს ამით? რომ დადგა რამე, ამით რაღაც ხომ უნდა მოიგო?! შესაბამისად, მარტივი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ეს არ იყო დადგმული. შიდა ბრძოლა დიდი ხანია მიმდინარეობს პრიგოჟინსა და შოიგუს შორის. პუტინი აშკარად დიდი ხანია აიგნორებდა პრიგოჟინის პრეტენზიებს და არც ისაა გამორიცხული, რომ საერთოდ აპირებდნენ ამ „ვაგნერის“ გაუქმებას, დაშლას და მის მიერთებას შეიარაღებული ძალებისთვის. ნაწილ-ნაწილ წაიღებდნენ შეიარაღებული ძალები. ეს ალბათ პრიგოჟინს არ მოსწონდა და შესაძლოა ეს მოხდა. ამიტომაც მოინდომა ძალის დემონსტრირება. მან აშკარად დაკარგა რეალობის შეგრძნება.

– ასე მარტივად რატომ მიუშვეს? ლამის მოსკოვამდე მივიდა.

– არა მგონია, მარტივად მისულიყო მოსკოვამდე. მას იმედი ჰქონდა, რომ მის მხარეს გადავიდოდა ჯარი და ჯარი აშკარად არ გადავიდა მის მხარეს. ასე სადამდე მივიდოდა? საბოლოო ჯამში, ყველაფერი დამთავრდებოდა ჟლეტვით და მისი ლიკვიდაციით. ამიტომ, როცა ეს კომპრომისი გამოიძებნა, რომ წავიდეს ბელორუსში, მან ეს კომპრომისი გამოიყენა ძალიან კარგად. როგორც ჩანს, რაღაც მომენტში ძალიან გამწარდა და რეალობის შეგრძნება დაკარგა.

– რის გამო გამწარდა?

– ორი ფაქტორის გამო. პირველი, შოიგუ ამჯობინეს მას და მეორეც, რუსეთის ჯარში კორუფციის გამო ათასი უბედურება ხდება. უფრო მეტი ხალხი ეხოცებათ, ვიდრე უნდა დაეხოცოთ, სულელებს აწინაურებენ. როგორც ჩანს, ესეც არ მოსწონდა. ორი მომენტი იყო აქ, პირადი კონკურენცია და ამ ბარდაგის ყურებაც მობეზრდა ალბათ.

– გარე ძალების მხარდაჭერის იმედი რამდენად ჰქონდა? დასავლეთი დაეხმარებოდაო, ისმის შეფასებები.

– არა. გუშინდელმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ასე არ ყოფილა. მაშინ უფრო სერიოზულად იქნებოდა ეს ყველაფერი გააზრებული. არ ჰგავდა ეს მაინცდამაინც სერიოზულად გააზრებულს. თორემ ეს იდეალური ვარიანტი იქნებოდა.

– ამხელა ამბავს რომ წამოიწყებ, როგორ შეიძლება ეს სერიოზული არ იყოს? სპონტანურად ამხელა ოპერაციას ვინ წამოიწყებს?

– არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომ დასავლეთისგან ჰქონდა მხარდაჭერა, აი შენ ახლა პუტინი დაამხე და ჩვენ რუსეთს სანქციებს მოვუხსნით, ოღონდ უკრაინიდან უნდა გაიყვანოთ ჯარები. ეს ვარიანტიც არის, თუმცა პრიგოჟინთან კონტაქტზე რამდენად გავიდა დასავლეთი, ვერ გეტყვით. როგორც ვარიანტს, აქვს მასაც არსებობის უფლება. ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და გამოჩნდება.

– რაც არ უნდა იყოს, ამ პროცესებმა ხომ აზარალა რუსეთი? არც ისე კარგად აქვთ საქმე, როგორც თავი მოაქვთ. რა გვაჩვენა ამ ორი დღის მოვლენებმა და რამდენად არის შანსი, საბოლოოდ შეირყეს პუტინის პოზიციები?

– რა თქმა უნდა, ეს გამოჩნდა. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები. მე ვფიქრობ, რომ „ვაგნერის“ მეომრები ინდივიდუალურად დატოვებენ შენაერთს და შეუერთდებიან შეიარაღებულ ძალებს, ამის უფლებას მათ მისცემენ. პრიგოჟინი ალბათ ჯერჯერობით იცხოვრებს ბელარუსში, მერე, შესაძლოა, მოკლან, ან საეჭვო ვითარებაში იპოვონ გარდაცვლილი. ახლა მთავარია, ამ სისუსტის დემონსტრირების მერე, რას გააკეთებენ, როგორ გადაფარავენ ამ სისუსტეს. ახლა მთავარი ეს არის. ან უკრაინაში როგორი იქნება რუსეთის პოზიციები. ამ ამბების შემდეგ უკრაინელებსაც გული მიეცათ. „ვაგნერის“ გასვლის შემდეგ რუსეთის ფრონტი დასუსტდა. ახლა უნდა მიაღწიონ რამეს უკრაინელებმა, ამაზე კარგი მომენტი და შესაძლებლობა არ ექნებათ.

– გუშინ საკმაოდ აჟიტირებული იყო ჩვენი ოპოზიცია. ხელისუფლებას საზღვრის ჩაკეტვისა და უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევისკენ მოუწოდებდნენ.

– აქ ზოგიერთს გულწრფელად მიაჩნია, უშიშროების საბჭოს სხდომას რომ მოიწვევ, არიქა, აყვავდება ქვეყანა. მოიწვიეს, რა მერე? ან რა ჰგონიათ უშიშროების საბჭო? შეიკრიბებიან პრემიერი და ძალოვანი მინისტრები, საბჭოს მოწვევის გარეშე პრემიერი მათ ვერ დაელაპარაკება?! რა ჰგონიათ ეს საბჭო, ძალიან საინტერესოა.

– ზოგიერთს ისიც წამოსცდა, დროა აფხაზეთისკენ დავიძრათო.

– ამ სიგიჟეს ხომ ეს ხალხი ვერ გადაეჩვია. თუ გინდა, რომ ტერიტორიები დაიბრუნო, უნდა მოითმინო. ტერიტორიების დაბრუნების ერთადერთი ვარიანტი არის, დასუსტდეს რუსეთი. თუ გუშინ იწყებდნენ დასუსტებას, მოითმინე რა კიდევ ერთი ორი დღე. მოვიდა მეორე დღე და გამოჩნდა, რომ გადაიდო ეს დასუსტება. მოითმინე, გაჩუმდი, ენას კბილი დააჭირე. ვერ ისწავლა ჭკუა ამ ხალხმა 30 წელია.

– პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გასული კვირის მიწურულს ნიკა გვარამია შეიწყალა. წითელი ხაზები გადაკვეთაო, ვისმენთ „ოცნების“ ლიდერებისგან შეფასებებს. თქვენ როგორ აფასებთ ამ ყველაფერს? რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდენტმა? ან რამდენად იყო ეს დასავლეთიდან ზეწოლის შედეგი?

– სალომეს აქვს თავისი პირადი პოლიტიკური გეგმები. პრეზიდენტის ვადის გასვლის შემდეგ, ის თავის თავს ხედავს ოპოზიციასთან უფრო ახლოს. ასევე მას სურს, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდეს ევროკავშირსა და მის ინსტიტუტებთან. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხსნის სალომეს გადაწყვეტილებას. ამასთანავე, ის ალბათ გულწრფელად ფიქრობს, რომ გვარამიას გამოშვებით ბევრი შეკითხვა მოიხსნება და საქართველოს მისცემენ კანდიდატის სტატუსს. ამ შემთხვევაში ორმა ფაქტორმა იმუშავა, პირადმა გეგმებმა და ინტერესებმა და ასევე, ქვეყნის ინტერესებმა.

„ქართული ოცნება“ ნერვიულობს ამაზე, თორემ, გვარამიას გამოშვებით ნამდვილად არ დაიქცევა ქვეყანა. თავიდანვე იყო შესაძლებელი, ჯარიმა დაეწესებინათ მისთვის და არ ჩაესვათ. რა უნდა დაეზარალოს გვარამიამ, „ქართული ოცნება“? არც დაჭერამდე ზარალდებოდა გვარამიას ფაქტორით „ოცნება“. ჩემი აზრით, კარგია, გვარამია რომ გარეთ იქნება.

– ეს გადაწყვეტილება სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით მიიღო, მის გარეშე ვერ გაბედავდა გვარამიას შეწყალებასო. ამ ვარიანტს რამდენად უშვებთ?

– მე ასე არ მგონია. გარკვეულ საკითხებში კი ერევა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ არ მგონია, რომ სალომეს ეს ბიძინასთან შეეთანხმებინა. მას თუ ეკითხებიან რჩევას, ეკითხებიან უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე.

– რას იტყვით ევროპარლამენტარების განცხადებაზე? სალომე რომ შეიწყალებდა ნიკა გვარამიას, ეს ჩვენ წინასწარ ვიცოდითო. რატომ გააკეთეს მსგავსი განცხადება? ამით ხომ დაზარალდა სალომე ზურაბიშვილი?

– როგორც ჩანს, მაგდენი ვერ გაიაზრეს. ალბათ სალომეს ნათქვამი ჰქონდა, რომ დავეწყლოდები უზენაესს სასამართლოს და მერე ვიზამო. ალბათ ევროპარლამენტარებს კომპლიმენტი უნდოდათ სალომესთვის და ჩვენთან ამას კომპლიმენტად არავინ მიიღებს.

– რამდენად გაგვიმარტივებს საქმეს კანდიდატის სტატუსის საკითხში ნიკა გვარამიას გამოშვება?

– კი, საქმეს ნამდვილად წაადგება. წესით, ამ კუთხით კითხვები მოიხსნება.

– სააკაშვილზე რომ მიდგეს ჯერი, მასაც შეიწყალებს პრეზიდენტი?

– არა მგონია. ეს უკვე სხვა კონტექსტია. გვარამიას შეწყალება ნაკლებად უწყინარი გადაწყვეტილებაა, ვიდრე მიშას გაშვება იქნება. გვარამიას გაშვება არაფერია, გაუშვეს და ამით არაფერი არ მოხდება. სააკაშვილის გამოშვება რომ ასე მარტივად არ დასრულდება, ეს ხომ ყველამ ვიცით.

„ვაგნერის“ გასვლის შემდეგ რუსეთის ფრონტი დასუსტდა. ახლა უნდა მიაღწიონ რამეს უკრაინელებმა, ამაზე კარგი მომენტი და შესაძლებლობა არ ექნებათ“

– ვხედავთ, როგორ გააქტიურდა ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილი. რას ემსახურება ეს ყველაფერი? „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს და ისევ ნაც-ქოცებად იყოფა წინასაარჩევნოდ სიტუაცია. სულ ამბობდა სააკაშვილი, რომ გაერიდა ქართულ პოლიტიკას და უცებ ვხედავთ, რომ ისევ აქტიურადაა ჩართული ქართულ პოლიტიკურ პროცესებში.

– პოლიტიკიდან წასვლაზე საუბარი, ეს ერთგვარი ტაქტიკა იყო მისი მხრიდან. ცდილობდა ციხიდან თავის დაღწევას და აღარ ჩაევრევი გამიშვითო. რომ არ გაუშვეს, ისევ უნდა, რომ დაბრუნდეს პოლიტიკაში. რადგან არ უშვებენ, უნდა, რომ იქიდან მოახდინოს გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე.

– და რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი?

– არც არაფერი. მივიღებთ ისევ 2016-ის, 2020-ის არჩევნების სცენარს. „ოცნება“ ისევ დაიწყებს, ჩვენ თუ არა, მაშინ იქნება მიშა. აი ანგრევს ციხის კარებს და გამოვარდნა უნდა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

გიგა ბოკერია: „რაც გუშინ მოხდა, რუსეთს ასუსტებს“

– ვისაც გუშინ არ უხაროდა მტრის შიგნით დაპირისპირება, ის ან ბრიყვია, ან მოღალატე, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე? გიგა ბოკერიამ განაცხადა.

პარტია „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გამოეხმაურა რუსეთში განვითარებულ მოვლენებს და განაცხადა, რომ მტრის დასუსტება ყველა პატრიოტს ახარებს.

– ყველა საქართველოს პატრიოტ მოქალაქეს ახარებს ჩვენი მტრის დასუსტება, ის რაც რუსეთში მოხდა, ამ ქვეყანას ასუსტებს. უმძიმესი დარტყმა ხელისუფლებამ მიიღო. ყველას სურდა, რომ რუსეთს დიდი დარტყმა მიეღო, მაგრამ ეს აჩვენებს, რომ ისტორიული ფანჯარა შესაძლებლობის გახსნილია. მთავარია, რომ ჩვენი მტერი დასუსტდეს. ვისაც გუშინ არ უხაროდა მტრის შიგნით დაპირისპირება, ის ან ბრიყვია, ან მოღალატე, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

შეგახსენებთ, რომ „ვაგნერის“ ლიდერმა ევგენი პრიგოჟინმა განაცხადა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ძალებმა „ვაგნერის“ ბანაკები დაბომბეს. აღნიშნულის გამო პრიგოჟინი განხორციელებული დარტყმის ავტორებს დასჯით დაემუქრა. მანვე განაცხადა, რომ „ვაგნერმა“ სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა, ხოლო მოგვიანებით თქვა, რომ მისმა სამხედრო კომპანიამ დონის როსტოვის სამხედრო ობიექტები და აეროდრომი კონტროლზე აიყვანა. პრიგოჟინის განცხადებების გამო, რუსული მედიის ინფორმაციით, მოსკოვში სამხედრო მზადყოფნის ბრძანება გაიცა, როსტოვის ქუჩებში კი ჯავშანტექნიკა გამოჩნდა. ამასთან, რუსული გამოცემის ცნობითვე, რუსეთში, შეიარაღებული აჯანყებისკენ მოწოდების მუხლით, ევგენი პრიგოჟინის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. რუსეთში არსებულ ვითარებას უკვე გამოეხმაურა პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. მან მიმდინარე პროცესებს „სამხედრო ამბოხი“ უწოდა და აღნიშნა, რომ სამოქალაქო ომის განმეორებას არ დაუშვებენ. დღის ბოლოს ევგენი პრიგოჟინმა განაცხადა, რომ „ვაგნერი“ მოსკოვისკენ გადაადგილებას წყვეტს და „საველე ბანაკებში“ ბრუნდება. კრემლში კი განაცხადეს, რომ პრიგოჟინის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდება, ის ბელარუსში წავა.

პოდოლიაკი: „უკრაინა მზადაა, მიიღოს მიხეილ სააკაშვილი...“

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველი, მიხაილო პოდოლიაკი ამბობს, რომ უკრაინა მზადაა, მიიღოს მიხეილ სააკაშვილი.

საკითხთან დაკავშირებით პოდოლიაკმა ვასილ გოლოვანოვთან ინტერვიუში ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, უკრაინა ასევე მზადაა, საქართველოში გააგზავნოს თავისი ექიმები, რათა მიხეილ სააკაშვილს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიოს.

– უკრაინის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ უკრაინა მზად არის, მიიღოს თავისი მოქალაქე. რა თქმა უნდა, მეც ყოველ ჯერზე ამას ვამბობ. შარშან საგარეო საქმეთა მინისტრმაც გააკეთა ამ თემაზე განცხადება, რომ ნებისმიერ მომენტში მზად ვართ, მივიღოთ მიხეილ სააკაშვილი. ასევე, მზად ვართ გავაგზავნოთ ჩვენი ექიმები ან დავეხმაროთ მას საზღვარგარეთ ნებისმიერ კლინიკაში გასამგზავრებლად, რათა გაუწიონ აუცილებელი სამედიცინო დახმარება, – თქვა პოდოლიაკმა.

კობახიძე: „როცა ჭკუა არ გყოფნის, რომ სწორად გააანალიზო მოვლენები, იმაზე მაინც უნდა გეყოს, რომ გაჩუმდე“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გუშინ რუსეთში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ საქართველოში „ერთიანად ამჩატებული“ ოპოზიცია ვიხილეთ.

ირაკლი კობახიძემ რუსეთში განვითარებული მოვლენების ფონზე უსაფრთხოების საბჭოს მოწვევაზე ოპოზიციისა და პრეზიდენტის ინიციატივას სისულელე უწოდა.

– ყველამ ვნახეთ ერთიანად ამჩატებული ოპოზიცია. ეს იყო ამჩატებული ნაცები, ევრონაცები, ხაზარაძე, გახარია, გირჩელები, სალომე ზურაბიშვილი და ა.შ. როდესაც ჭკუა არ გყოფნის, რომ სწორედ გააანალიზო მოვლენები, იმაზე მაინც უნდა გეყოს ჭკუა, რომ საერთოდ გაჩუმდე. გუშინ მოვისმინეთ უამრავი სისულელე, ყველაფერთან ერთად, აქ საუბარი იყო უსაფრთხოების საბჭოს მოწვევაზე, საუბარი იყო იქ, მეორე ფრონტზე, პირდაპირი მოწოდებები მეორე ფრონტთან დაკავშირებით, ნუ, ეს არის რეალურად ამ ნაცმოძრაობის, კოლექტიური ოპოზიციის სახე, რაც ძალიან სამწუხაროა. ერთი წამით წარმოიდგინეთ, ეს ადამიანები რომ ყოფილიყვნენ გუშინ ხელისუფლების სათავეში, ქვეყანას გახვევდნენ უბედურებაში. ამიტომ, საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, გააანალიზოს ყველაფერი, მათ შორის, შეაფასოს ამ ოპოზიციის სახე, – თქვა კობახიძემ.

?ამას გარდა, მმართველი პარტიის თავმჯდომარე კვლავ ამტკიცებს, რომ ოპოზიციას საქართველოში ე.წ. მეორე ფრონტის გახსნა სურს.

– პირდაპირი მოწოდებები შეგვიძლია ამოვიღოთ, კონკრეტული ფეისბუქ პოსტები, განცხადებები, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, იმ პროცესებთან კავშირში, რომელიც გუშინ წარიმართებოდა. იყო მთელი რიგი განცხადებები, სადაც პირდაპირ იყო საუბარი აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში შესვლაზე. ეს არის ამ ადამიანების სახე. ჩვენ როცა ვამბობთ, რომ მათი მიზანია ქვეყნის ომში გახვევა, მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათ გუშინ, როდესაც წამოსცდათ ის, რასაც გულში ინახავდნენ ამდენი ხნის განმავლობაში, – განაცხადა კობახიძემ.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – გლარა ბალავაძე

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პუტინის უძლეველობის მითი დაიმსხვრა“

სოსო ცინცაძე: „თავის დროზე ჰიტლერმა სტალინი მოსკოვიდან ვერ გააქცია. პუტინი მოსკოვიდან გაიქცა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, რუსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რუსეთის შიდა პოლიტიკა მისი საქმე არ არის.

— სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. არ ერთს წარმოდგენა არა აქვს, რა არის რუსეთი. კობახიძე ალბათ მოსკოვში ნაყოფიც არ არის. გერმანიაში რომ არის ნამყოფი, ვიცი.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა შედეგი დადგა მთელი მსოფლიოსთვის, პასუხი არის ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი — პუტინი გაფუჭებული ქურდია. ასეთი ურბანული გამოთქმა არსებობდა ჩემს ახალგაზრდობაში. ზუსტად ეს ფრაზა გამოხატავს ახლა პუტინის მდგომარეობას.

რა მოიტანა ამ ორმა დღემ: პუტინს მიადგა ისეთი მორალური და რეპუტაციული ზიანი, რომელსაც ვერასდროს ვეღარ აღიდგენს. თუ ოცი წლის მანძილზე აგროვებდა ამ მორალურ თუ რეპუტაციულ კაპიტალს, ეს უკვე გაფლანგულია, აღარ არსებობს. ორ საათში დაამსხვრია, თან ვინ, მზარეულმა კაცმა.

თავის დროზე მსოფლიო ლიდერები პუტინის მითს ქმნიდნენ. ანგელა მერკელი, სხვები. „თაიმსმა“ ორჯერ წლის გავლენიან პოლიტიკოსად დაასახელა და გარეკანზე დაბეჭდა. ასე იქმნებოდა პუტინის უძლეველობის მითი. ეს მითი ორ საათში დაიმსხვრა. თან ისე დაიმსხვრა, რომ ვეღარაფერი ვეღარ უშველის. რაც არ უნდა მოხდეს, ის ამ სახელს ვეღარ დაიბრუნებს.

თავის დროზე ჰიტლერმა სტალინი მოსკოვიდან ვერ გააქცია. ხომ ფაქტია, თან ოფიციალურად დადასტურებული, რომ პუტინი მოსკოვიდან გაიქცა. ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. პუტინს უკვე ამ რეპუტაციის, მორალური, თუ გნებავთ, სხვა ნებისმიერი ფაქტორის გათვალისწინებით, დაბრუნების არანაირი რესურსი აღარ აქვს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ელემენტარულად, ასაკი არ უწყობს ხელს. თუ აქამდე ეგზისტენციალური შიში არსებობდა მის მიმართ, თუ აქამდე რუსეთის უძლეველობის მითი არსებობდა, ეს ყველაფერი დამსხვრეულია, თან ორ საათში მოხდა ეს ყველაფერი. ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა.

გარემოცვისთვისაც ძალიან ბევრს ნიშნავს ამ მითის დამსხვრევა. პუტინის უძლეველობის, მის მიმართ არსებული შიშების დაძლევის კუთხითაც ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს პუტინის მიმართ შიშს გააქრობს. თუ აქამდე ბერეზოვსკის, ხადარკოვსკის მაგალითები არსებობდა, ახლა უკვე იქნება პრიგოჟინის მაგალითიც. ხუთი წლის წინ, ეს აზრად არავის არ მოუვიდოდა.

— შიდა ამბოხის მცდელობა პუტინს ასუსტებს, რუსეთს?

— რეპუტაციულად ასუსტებს ყველა მიმართულებით. როგორც მმართველს, ჯერ ეს შეიძლება პუტინს და რუსეთს არ დაეტყოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში უძლეველობის მითი დაიმსხვრა. ზესახელმწიფოს მითი დაიმსხვრა. ყველას და ყველაფერს აკონტროლებს, ეს მითიც დამსხვრეულია. თუმცა, ცხადია, გადაჭარბებული მოლოდინები არ უნდა გვქონდეს.

თუ უკრაინის ომის კონტექსტში განვიხილავთ ამ ყველაფერს, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი იქნება უკრაინელი მეომრებისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ პრიგოჟინმა ნახევარი რუსეთი ისე გაიარა და ლამის მოსკოვამდე ისე ჩავიდა, რომ ერთი თოფი არ გავრდნილა. მოსკოვიდან კიდევ მთავარსარდალი გაქცეული იყო. ეს ცხადია, დიდი სტიმულია ნებისმიერი მეომრისთვის. საერთოდ, უკრაინისთვის.

პუტინი და ზელენსკი, როგორც ზიარჭურჭელი, ისე არიან. რაც აკლდება პუტინს, ემატება ზელენსკის. თუ იმსხვრევა პუტინის უძლეველობის მითი, იზრდება ზელენსკის მითი.

და ყველაზე მთავარი — ევროპა მიხვდა, რომ რუსეთის გარეშე უნდა იცხოვროს. მან ისწავლა რუსეთის გარეშე ცხოვრება და ეს გასულმა ზამთარმა დაადასტურა. ევროპა რუსულ გაზს დაემშვიდობა. გერმანელი დიპლომატები აზიაში ჩადიან მოსალაპარაკებლად, რაც ძალიან კარგია.

რაც უფრო შორდებიან ერთმანეთს დასავლეთი და რუსეთი, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ორ სკამზე ჯდომა მით უფრო რთული იქნება, არ გამოგვივა, საგარეო საქმეთა სამინისტროში სულ მთლად ბისმარკები და ტალირანები რომ ისხდნენ.

— შეიძლება ამ პროცესთან ევროკავშირის სტატუსის საკითხიც იყოს მიბმული?

„საქართველოს ბედია გადასაწყვეტი. მე ვთვლი, რომ დასავლეთი საქართველოს რუსეთს არ დაუთმობს“

— ცალსახად. მე ვთვლი, რომ ევროკავშირი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს და სტატუსს მოგვცემს. შუალედური განხილვის დროს ჩეხეთის წარმომადგენელმა საინტერესო განცხადება გააკეთა, რაც მენიშნა — ჩვენ სამი ქვეყანა უკრაინა, მოლდოვა და საქართველო გვჭირდება, რათა სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა კავშირი დავასრულოთ. ეს განცხადება ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ევროკავშირს პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული აქვს. მათ მშვენივრად იციან, სამხრეთ კავკასიაში თუ როგორ დალაგდება მოზაიკა: სომხეთისა და აზერბაიჯანის ბედი გადაწყვეტილია. ერთი — რუსეთთანა, მეორე, აზერბაიჯანი თურქეთის სტრატეგიული მოკავშირეა. საქართველოს ბედია გადასაწყვეტი. მე ვთვლი, რომ დასავლეთი საქართველოს რუსეთს არ დაუთმობს.

„პუტინმა ავტორიტეტი დაკარგა. ახლა შიგნიდან ილახება“

ამირან სალუქვაძე: „18 ივნისს პრიგოჟინი ერთ თანმხლებ პირთან ერთად მოსკოვში ფეხით იყო. შოიგუს სახელზე წერილი ჩაიტანა. შოიგუს უწყების თანამშრომელმა წერილი არ მიიღო. საერთოდ, პრიგოჟინს გაექცა და დაიმალა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

— ბატონო ამირან, რუსეთში განვითარებულ პროცესებზე თქვენი ანალიზი როგორია? პრიგოჟინის მოქმედებები რას გვიჩვენებს? რუსეთი სამოქალაქო ომის წინაშე ხომ არ დგას?

— ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი უკვე არის. პრიგოჟინის დაჯგუფებასა და რუსეთის სამთავრობო ძალებს შორის დაპირისპირებაა. უკვე შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინები „სამთავრობო ძალები“ და „ვაგნერის“ დაჯგუფება. რთული სათქმელია, პროცესები როგორ განვითარდება.

რუსეთის ხელისუფლებისთვის მარტივად მოსაგვარებელი პრობლემა არ არის. ერთი მხრივ, უკრაინასთან დაძაბული ომი მიმდინარეობს, პრიგოჟინის მოქმედებები უკრაინის ე.წ. კონტრშეტევას (რომელსაც მე, უბრალოდ, შეტევას ვუწოდებ, რადგან კლასიკური გაგებით შეტევაა) დროში ემთხვევა.

ეს ფაქტი პუტინისთვის ორ ამოცანას სახავს. ერთი ამოცანაა, უკრაინის ფრონტზე პოზიციების შენარჩუნება. მეორე — ფრონტის ზურგში „ვაგნერის“ დაჯგუფებასთან ბრძოლა. არანაკლებ რთული ამოცანაა „ვაგნერის“ დაჯგუფებასთან ბრძოლა.

„ვაგნერის“ შეიარაღებულ დაჯგუფებას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს მიღებული საბრძოლო მოქმედებებში სირიაში, აფრიკის კონტინენტზე და სხვაგან. წელიწადზე მეტია უკრაინაში იბრძვის და რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი ბრძოლისუნარიანი ფორმირება იყო.

— რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, პრიგოჟინის სახით, ახლა რამდენათასიანი დაჯგუფება დგას?

— თავად პრიგოჟინი 25 ათასზე საუბრობდა. 25-ათასივე გაჰყვა თუ არა, რთული სათქმელია. რუსეთის ხელისუფლებას არ გაუვრცელებია ინფორმაცია, რომ „ვაგნერის“ მებრძოლებიდან თუნდაც ერთი ან რამდენიმე პრიგოჟინს განუდგა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვაგნერის“ შეიარაღებული ფორმირება მთლიანი შემადგენლობით უპირისპირდება.

მე მქონდა პუტინის გონივრულობაზე გათვლა (იმედი კი არა, გათვლა), მიუხედავად იმისა, გონივრულობაზეც რთულია საუბარი, რადგან შარშან წარმოუდგენელი ომი წამოიწყო. ახლა ცდილობს, ომის დაწყების აუცილებლობა არგუმენტებით გაამყაროს — ჩვენ რომ არ დაგვეწყო, ისინი დაიწყებდნენო.

მე ვფიქრობ, რუსეთს ეს ომი არ აწყობდა, პუტინმა შეცდომა დაუშვა. პუტინმა ომი ძალიან მცდარი სცენარით დაიწყო. პუტინის გენერალურ შტაბს შეეშალა. ძალიან დიდი შეცდომაა, განსაკუთრებით, ბელორუსის მხრიდან შეტევა.

რუსებმა ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვეს. მათი ისტორიიდან გამომდინარე, ეს მათ არ უნდა დამართნოდათ. განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომს ვგულისხმობ, როდესაც ძალიან ბევრმა სტრუქტურამ ინსტიტუციური, მათ შორის, სახელმწიფო მმართველობის მხრივ, უზარმაზარი გამოცდილება მიიღო.

— რას გულისხმობთ?

— რუსებმა უკრაინასთან ომში სხვადასხვა სტრუქტურისა და დაჯგუფებების ცალ-ცალკე ომი დაუშვეს. ყველა ისინი თავიდანვე ერთ სტრუქტურაში უნდა მოექციათ. პუტინს ცდუნება ჰქონდა, ბრძოლის ველზე წარმატებისთვის მიეღწია. ამიტომ ომში „ვაგნერი“ ჩართო.

წარმოიდგინეთ, „ვაგნერთან“ ერთად რამდენი სტრუქტურაა. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალები, „როსგვარდია“, ფსბ-ს ქვედანაყოფები. დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების საარმიო კორპუსები (ე.წ. დეენერ-ენეერი), რომლებიც 2014 წლის შემდეგ შეიქმნა და თავად „ვაგნერის“ დაჯგუფება. ყველა ისინი ცალ-ცალკე, დაქსაქსულად ომობდნენ.

შარშან, როდესაც სუროვიკინი სარდლად დანიშნეს, შეეცადა, ეს დაჯგუფებები ერთი მმართველობის ქვეშ მოექცია, მაგრამ, ეტყობა, ან არ გამოუვიდათ, ან ვიღაცას სურვილი არ ჰქონდა. სულ მალე გერასიმოვმა ყველა ამ სტრუქტურის მართვა შეითავსა, რაც გენშტაბის უფროსის მხრიდან, ბევრი თვალსაზრისით, არასწორია. ამას ბევრი სამხედრო იტყვის.

ამდენად, რუსებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. ბოლო შეცდომა ბახმუტის აღების შემდეგ, „ვაგნერის“ გაყვანა და სხვაგან დაბანაკება იყო. ორი თვეა, რაც ბახმუტი აიღეს და ეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და ხელისუფლების მიმართ პრეტენზიული, შეიარაღებული სამხედრო ფორმირება უფუნქციოდ იყო.

ასეთი ქმედება შეცდომაა. როდესაც გაგანია ომია, ასეთი ფორმირება ომს არ უნდა მოაშორო. მეორე მხრივ, როდესაც პრეტენზიები აქვთ და პრობლემებს აყენებენ, როგორ შეიძლება მოლაპარაკებებზე არ წახვიდე და სიტუაციის დარეგულირება არ სცადო?!

— ალბათ, პუტინი პრიგოჟინის დაჯგუფებას სათანადო ძალად არ მიიჩნევდა.

— დიდად გულუბრყვილო და უცოდინარი უნდა იყო, რომ 25-ათასიანი დაჯგუფების (რომელიც თავიდან 35-40 ათასამდე იყო და ამხელა დანაკარგი განიცადა) პრეტენზიები არ გაითავისო.

25-ათასიანი დაჯგუფება რუსეთის ჯარის 10%-ია, ბევრი არ არის, მაგრამ საკმაოდ ბრძოლისუნარიანია. შეიძლება ამბოხს არ ვარაუდობდნენ, მაგრამ არ ვიცი, რუსეთის სპეცსამსახურები რას უყურებენ. ეს კიდევ ცალკე თემაა. თავი ჯერ კიდევ უძლეველები ჰგონიათ, მაგრამ, ალბათ, ინფორმაცია არ ჰქონდათ, რეალურად, პრიგოჟინი რას მოიმოქმედებდა.

ფეისბუქზე ვიდეო გამოვაქვეყნე, 18 ივნისს პრიგოჟინი ერთ თანმხლებ პირთან ერთად მოსკოვში ფეხით იყო. შოიგუს სახელზე წერილი ჩაიტანა. შოიგუს უწყების თანამშრომელმა წერილი არ მიიღო. საერთოდ, პრიგოჟინს გაექცა და დაიმალა.

ასეთი აბსურდული სიტუაცია შექმნეს. რა მნიშვნელობა აქვს, პრიგოჟინია თუ ვინ არის, წერილი მაინც უნდა მიიღო და საჯაროდ რაღაც უპასუხო. მით უმეტეს, როცა ბრალდებებს ასახელებს კორუფციასთან, ჯარის უზრუნველყოფის პრობლემებთან დაკავშირებით. დიალოგის უნარი ხომ უნდა გქონდეს. როცა ფეხებზე იკიდებ, დაპირისპირებაში შედიხარ.

როგორ შეიძლება სპეცსამსახურებს ამხელა დაჯგუფებაში ხალხი ჩანერგილი არ გყავდეს, ინფორმაცია არ გქონდეს და არ ხდებოდეს პრიგოჟინისა და სხვების შესწავლა, რაზე არიან წამსვლელი.

— შეიძლება ვიფიქროთ, რომ სპეცსამსახურები პრიგოჟინის მხარეს იყო და არა პუტინის მხარეს? ასეთი დაშვება შეიძლება?

— არა მგონია, საქმე მაგ დონეზე იყოს, იმის მიუხედავად, რომ უკრაინის ომის ფონზე, პუტინის ხელისუფლების შიგნით დაძაბულობები იქნებოდა. ეს კიდევ, საერთოდ, ცალკე პრობლემაა, რადგან პუტინს ისეთი მართვის სტილი აქვს, მინიმუმ, თავი სტალინი ჰგონია.

პუტინს მოსახლეობის დასამშვიდებლად შეეძლო სხვა განცხადება გაეკეთებინა, ეთქვა, სიტუაციას ვაკონტროლებთო. შეეძლო სხვა განცხადება გაეკეთებინა და მოსახლეობა გაეფრთხილებინა.

— იქნებ პუტინს რუსეთის შიგნით ასეთი ბუნტი უკრაინაში ომის წარუმატებლობის გასამართლებლად სჭირდებოდა? იტყვის, „ვაგნერს“ რომ არ ელალატა, ომი მოგებული გვქონდაო.

— ამ ვერსიის განხილვა შეიძლება, მაგრამ თუ დავაკვირდებით, ბოლო ორი კვირაა უკრაინის მხრიდან რუსებზე შეტევა მიმდინარეობს, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ვერ ვნახეთ. პირიქით, ყველა საერთაშორისო ექსპერტის აზრით, იმის გამო, რომ უკრაინელებს არ გააჩნიათ ავიაცია და სხვა შესაძლებლობებითაც რუსეთი სჭარბობს, შეტევაც არ არის მძაფრი.

რუსეთს საკუთარი წარმოება აქვს. სხვადასხვა ტიპის უამრავ საბრძოლო ტექნიკას აწარმოებს,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„პრიგოჟინი შეიძლება მოკლან, ან საეჭვო ვითარებაში იპოვონ გარდაცვლილი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გარეთ. დაახლოებით ეს იქნება „ოცნების“ ლოზუნგი.

— სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვები და ეჭვები, ხომ არ არის შეთანხმებული სცენარი?

— შეთანხმება არა, უბრალოდ, მიშას ვერ წარმოუდგენია საქართველო მის გარეშე. მას ვერ წარმოუდგენია ისეთი საქართველო, სადაც სააკაშვილი არ იქნება მთავარი ფაქტორი. თორემ რამდენი შანსი ჰქონდა, რომ დაეწყო ნორმალური, ადამიანური ცხოვრება პოლიტიკიდან წასულს?! წავიდა აქედან, ყველაფერი ჰქონდა, არავინ არ დასდევდა, არ იჭერდა, ლექციები ამერიკაში, მშვენიერი ოჯახური ცხოვრება და არა მარტო ოჯახური... მაგრამ არ უნდა, პოლიტიკის გარეშე ვერ ძლებს ეს კაცი!

— სააკაშვილის ასეთი გააქტიურება რამდენად აზარალებს მესამე პოლიტიკური ცენტრის იდეას?

— მე არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციის ნაწილი ამ ორმა მხარემ გაიწოვოს აქეთ-იქით. „ოცნებისკენ“ და ნაცმოძრაობისკენ.

— ანუ მესამე ძალის შექმნა ისევ ოცნებად რჩება?

— კი, ნამდვილად ოცნებად რჩება. ამ სიტუაციაში, 5%-იანი ბარიერის პირობებში, გაწოვა მოხდება. სხვა ვარიანტი არა აქვთ პატარა პარტიებს. მე არ მგონია, რომ ამ ეტაპზე რომელიმე აღწევდეს 5%-ს.

— გახარიაზე რას იტყვით?

— ამ ეტაპზე არც ის მგონია, რომ 5%-ს აღწევდეს. კვლევებში შეიძლება ამოუვარდეს ვიღაცას 5%, მაგრამ ერთია კვლევა და მეორეა არჩევნები. არჩევნების წინ ისე აიწევა ტემპერატურა, ისე ამოქოქავს ამ ორპოლუსიან თამაშს ორივე მხარე, რომ ამ პატარა პარტიებს გაიწოვენ.

— ფაქტია, რომ შეთანხმებულები არიან თუ არ არიან, ეს სიტუაცია ორივეს აწყობს — ნაცებსაც და ქოცებსაც.

— გეთანხმებით. აბსოლუტურად ორივეს აწყობს!

— ამ სიტუაციაში რა შედეგს მივიღებთ 2024-ში.

— თუ სიტუაცია არ შეიცვალა, მივიღებთ ზუსტად იგივე სურათს, რაც ახლაა.

— გვექნება თუ არა კანდიდატის სტატუსი?

— დღევანდელი მოცემულობით სტატუსი გვექნება. ეს კი „ოცნებას“ კიდევ მეტად გაუმყარებს პოზიციებს საარჩევნოდ.

„რუსეთთან საზღვარი უნდა ჩაიკეტოს?!“

მარიამ მჭედლიშვილი

გასული კვირა აქციებით დატვირთული იყო. საქართველოს მოსახლეობისთვის კი განსაკუთრებულად საინტერესო პრიგოჟინის ამბოხი და რამდენიმე საათით დამფრთხალი პუტინის კომენტარები იყო.

აქცია კულტურის სამინისტროსთან

კულტურის სამინისტროსთან შეიკრიბნენ კინოცენტრის თანამშრომლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. მათ მოითხოვეს, რომ კულტურის მინისტრ თეა წულუკიანს შეეწყვიტა რეორგანიზაცია კინოცენტრში. ამ რეორგანიზაციას, მათი შეფასებით, რეპრესიული ხასიათი აქვს, მოთხოვნებს შორის იყო ასევე დიალოგი მინისტრთან.

მოგვიანებით მინისტრთან შეხვედრა შედგა. გავრცელებული ინფორმაციით, საუბრისას გადაწყდა, რომ კინოს სფეროს მუშაკები კინოცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურებს წარადგენენ.

❖ ❖ ❖

„სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ არ იძლევა მისი ციხეში გადაყვანის საშუალებას“

კლინიკა „ვივამედში“ მყოფი ყოფილი პრეზიდენტის განცხადებამ საქართველოს პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის განზრახვაზე კიდევ ერთხელ წამოსწია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის თემა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ამაზე ბევრი ადამიანი გამოთქვამდა თავის შეხედულებას.

საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ სააკაშვილს კლინიკაში დასაწვენი არაფერი სჭირს და ის ციხეში უნდა დააბრუნონ. სააკაშვილის გარემოცვა სააკაშვილის მდგომარეობას ისევ მძიმეს უწოდებს. ნაცმოს წევრების განმარტებით, სააკაშვილი ისევ ავადაა, მისი პოლიტიკაში გააქტიურება კი შექმნილმა გამოუვალმა მდგომარეობამ განაპირობა.

კლინიკა „ვივამედის“ კლინიკურმა დირექტორმა ზურაბ ჩხაიძემ განაცხადა, რომ მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია, ორიოდე დღეში კი დასძინა, რომ ის ჯერ კლინიკაში უნდა დარჩეს.



– მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა არის სტაბილური. მისი ჰემოდინამიკური მაჩვენებელი და სუნთქვის პარამეტრები სტაბილურია. ზოგადად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის გაუმჯობესებული. ძალიან გვიხარია, რომ ჩვენი ამდენი ხნის მცდელობის შედეგი სახეზეა, – თქვა კლინიკის დირექტორმა. შემდეგ მან დაამატა, რომ მისი მდგომარეობა ჯერ ციხეში გადაყვანის საშუალებას არ იძლევა.

– როდესაც ექიმები რეკომენდაციას გასცემენ, მიხეილ სააკაშვილს პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანენ, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ.

საქართველოს პოლიტიკაზე აზრების გამოთქმა მოქალაქეობის გარეშეც შეიძლება, თუმცა, იმისთვის, რომ რაიმე თანამდებობა დაიკავო და არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობა.

რატი ბრეგაძემ გამოხატა აზრი სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალზე:

– როდესაც ადამიანი არის სახელმწიფოს მეთაური, მთავარსარდალი და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობას დატოვებს, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას მიიღებს და სხვა სამსახურში ჩადგება, ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება, რომ ის იყოს მხოლოდ იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის სამსახურშიც ჩადგა.

❖ ❖ ❖

შეწყალებული გვარამია „მთავარი არხისთვის“ თანხებს მოიძიებს, ტელევიზიას კი აღარ უხელმძღვანელებს

– ეს გადაწყვეტილება მივიღე მას შემდეგ, რაც 19 ივნისს ამოიწურა ყველა სამართლებრივი საფეხური, როცა უზენაესმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო სარჩელი, – გამოაცხადა პრეზიდენტმა, რომელმაც ნიკა გვარამიას შეწყალების საკითხზე მეტი განმარტება არ გააკეთა.

მანამდე უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამიას სარჩელი დაუშვებლად ცნო, საქმე განსახილველად არ მიიღო. ამის გამო შეშფოთება გამოთქვეს როგორც საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლებმა, ისე დასავლელმა პარტნიორებმა.

– შემდეგი გაჩერება – სტრასბური! რამდენი დროც არ უნდა დამჭირდეს, რა ძალისხმევადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემს სიმართლეს მაინც დავამტკიცებ. ჯერ ჩემს სიმართლეს, შემდეგ – სხვების დანაშაულს, – დაწერა ამის შემდეგ ნიკა გვარამიამ.

ამ განცხადებიდან ორი დღის შემდეგ ნიკა გვარამია პრეზიდენტმა შეიწყალა.

გათავისუფლებულმა ნიკა გვარამიამ აღნიშნა, რომ ტელევიზიას აღარ უხელმძღვანელებს (დირექტორის რანგში), ის არხისთვის სახსრების მოძიებით დაკავდება (როგორც დამფუძნებელი).

ნიკა გვარამიას შეწყალება პოზიტიურად შეაფასეს საქართველოს მოკავშირეებმა. მათ შორის, შარლ მიშელმა.

ოპოზიციონერების ნაწილმა გვარამიას პოლიტიკოსობა იწინასწარმეტყველა.

❖ ❖ ❖

„რუსეთთან საზღვარი უნდა ჩაიკეტოს?!“

კვირის ბოლოს დიდი ალიაქოთი ატყდა ოკუპანტი რუსეთის ფედერაციაში. ამის გამო პოლიტიკოსებმა 24 ივნისს საქართველოს მთავრობას მიმართეს.

გიორგი გახარიამ და მამუკა ხაზარაძემ ხელისუფლებას მოუწოდეს, მოიწვიოს უსაფრთხოების საბჭო და დროებით ჩაკეტოს საზღვარი რუსეთთან. ხაზარაძემ რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების დაწესების საკითხი კიდევ ერთხელ წამოსწია. ხელისუფლებამ ამ ყველაფრის გაკეთება საჭიროდ არ ჩათვალა.

❖ ❖ ❖

საქართველოში სურსათის წარმოება შემცირდა

„ბიზნესპრესნიუსის“ ინფორმაციით, საქართველოში თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი თითქმის ყველა საკვებ პროდუქტზე შემცირდა.

კერძოდ, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, სიმინდის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი შემცირდა 77%-დან 62%-მდე. კარტოფილი – 115%-დან 101%-მდე. ბოსტნეულისა – 61%-დან 52%-მდე და ა. შ.

ზრდა მხოლოდ ყურძენზე დაფიქსირდა – 173%-დან 207%-მდე. იმავე დონეზე დარჩა (22%) ხორბლის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ყაზახეთთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. „შუა დერეფანი“ კიდევ უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს“

– ჩვენ ყაზახეთთან გვაქვს მჭიდრო, სტრატეგიული თანამშრომლობა და ურთიერთობა, მეგობრობა, რომელიც გამყარებულია ორ მთავრობას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობით და ურთიერთობით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყაზახეთის პრემიერ– მინისტრ ალიხან სმაილოვთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყაზახეთს საქართველოში მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვს განხორციელებული.

– მოგესალმებით, მე მინდა მივესალმო ჩემს ძვირფას კოლეგას და ჩემს მეგობარს, ყაზახეთის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ალიხან სმაილოვს. ეს არის ბატონი პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში და მე მინდა ჩვენი მთავრობისა და ჩვენი ხალხის სახელით დავუდასტურო ჩვენი მადლიერება და პატივისცემა.

ჩვენ ყაზახეთთან გვაქვს მჭიდრო, სტრატეგიული თანამშრომლობა და ურთიერთობა, მეგობრობა, რომელიც გამყარებულია ორ მთავრობას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობით და ურთიერთობით.

ჩვენ გვქონდა ძალიან შინაარსიანი განხილვები. მიმოვიხილეთ მიმდინარე საკითხები, რომელიც უკავშირდება ყაზახეთს და საქართველოს. ჩვენ ასევე აღვნიშნეთ, რომ გვახარებს ის ტენდენცია, რომელიც ბოლო პერიოდში დაფიქსირდა, ვგულისხმობ ექსპორტისა და, ზოგადად, სავაჭრო ბრუნვის ზრდას. ასევე მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ ტურისტების რაოდენობა ყაზახეთიდან საქართველოში ყოველ წელს იზრდება. ჩვენ ყოველთვის მოხარულები ვართ, ვიხილოთ მეტი ყაზახი ტურისტი და ინვესტორი საქართველოში.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა „შუა დერეფანზე“ და აღნიშნა, რომ „შუა დერეფანი“ უნდა გახდეს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი, მათ შორის ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

– ასევე განვიხილეთ დაგეგმილი პროექტები, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ სტრატეგიულ თანამშრომლობას. მე აქვე მინდა შევეხო „შუა დერეფის“

საკითხს, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი იყო და არის. გასული წლის ნოემბერში ჩვენ გავაფორმეთ სამმხრივი მემორანდუმი. ამ პროექტში ჩართული ვართ აზერბაიჯანთან ერთად. საქართველო, აზერბაიჯანი და ყაზახეთი ვთანამშრომლობთ იმისთვის, რომ ყველა შემაფერხებელი ბარიერი იყოს მოხსნილი და „შუა დერეფანი“ გახდეს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი, მათ შორის ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის, ჩინეთისთვის, ზოგადად, აზიის ქვეყნებისთვის, რომ მეტი ტვირთი წამოვიდეს ამ მარშრუტის მეშვეობით „შუა კორიდორში“.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული საგზაო რუკა, რომელზეც უკვე შევთანხმდით ყაზახეთთან, ესაა 5-წლიანი გეგმა. დაახლოებით 2027 წლამდე ჩვენ ზუსტად ვიცით, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა თავის მხრივ. ჩვენ ახლა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვახორციელებთ რკინიგზის მოდერნიზაციის მიმართულებით, რომელიც ძალიან მალე დასრულდება და გააორმაგებს გამტარუნარიანობას ჩვენი რკინიგზის. ჩვენ ასევე გვაქვს სხვა მნიშვნელოვანი პროექტები დაგეგმილი ამ მიმართულებით, ვმუშაობთ ასევე ახალი პორტის მშენებლობაზე.

მე ბატონ პრემიერ-მინისტრს პირადად ვაცნობე, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, ააშენოს ახალი პორტი, ღრმაწყლოვანი ანაკლიის პორტი და სამუშაოები დაიწყება წელს, შემოდგომაზე, ოქტომბერში დაახლოებით, მთავრობა იქნება მეპატრონე, 51% იქნება საქართველო მთავრობის და დანარჩენ 49%-ზე ჩვენ ვაპირებთ, გავმართოთ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ეს ყველაფერი უნდა იყოს მიმზიდველი ყაზახური მხარისთვის.

– ამ მიმართულებით ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად ვითანამშრომლებთ ჩვენს მეგობრებთან.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ვაჭრობის მოცულობა გასულ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა. დაფიქსირდა 136%-იანი ზრდა, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულოა. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია წელსაც. მინდა აღვნიშნო, რომ სავაჭრო ბრუნვამ წელს იანვარ-აპრილში უკვე შეადგინა 188 მლნ დოლარი, რაც 283%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ჩვენ ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ თანამშრომლობას და, ზოგადად, ამ თანამშრომლობის გაძლიერებას კულტურის, განათლების, მეცნიერების და სპორტის სფეროებში. ჩვენს ასევე გამოვხატეთ მზადყოფნა, რომ გაგრძელდეს შემდგომი თანამშრომლობა ყაზახურ მხარესთან რეფორმების სფეროში ურთიერთგამოცდილების გაცვლის კუთხით.

ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს დიდი პოტენციალი, ამ პოტენციალის სრულად ათვისებაზე სრული მზაობაა ორივე მხრიდან და მე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ძვირფას მეგობარს ვიზიტისთვის. მე ძალიან დიდი კმაყოფილებით ვიხსენებ ჩემს ვიზიტს ყაზახეთში გასულ წელს. კიდევ ერთხელ, მადლობა გადავუხადე ბატონ პრემიერს გულთბილი მასპინძლობისთვის და ჩვენც, ქართველები, შევეცადეთ, რომ სათანადო მასპინძლობა გამოგვეჩინა, – განაცხადა პრემიერმა.

„პუტინმა ავტორიტეტი დაკარგა. ახლა შიგნიდან ილახება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ამ მხრივ, რუსეთი თვითმყოფადია. საკმაოდ სერიოზული უპირატესობა ჰქონდა. მოსახლეობითაც მეტია. ვერ ვხედავ მიზეზს, კონსპირაციაში რომ შევიდე და ვთქვა, თითქოს ეს პუტინმა გაათამაშა, რადგან, ჯერ ერთი, საკმაოდ სულელური სცენარია.

მეორე – ჩემი აზრით, პუტინს ეს არ სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, დღემდე იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, ან ქვეყანაში სიტუაციას ისე აკონტროლებდა, რომ ნებისმიერ თემას გაიტანდა.

თუ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებს შეწყვეტდა თუნდაც რაიმე დათმობების ხარჯზე, თავის მოსახლეობას დააჯერებდა, რომ ადამიანებს უფრთხილდება, მათ შორის, უკრაინელებს და დათმობაზე წავიდოდა.

– შეიძლება არ გაათამაშა, მაგრამ გამოიყენებს.

– მერე გამოიყენებს, რადგან ფრონტზე რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შეიძლება დიდი პრობლემები შეექმნას. შეიძლება „ვაგნერის“ წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გადმოსროლა მოუწიოს.

– ანუ რუსეთის ეს შიდა არეულობა უკრაინის ფრონტებზე ყველა შემთხვევაში გავლენას მოახდენს?

– რა თქმა უნდა. ერთი მხრივ, ძალთა ბალანსი შეიცვლება, მეორე მხრივ, ფრონტს მუდმივად უზრუნველყოფა სჭირდება, როგორც ტყვია-წამლით, საბრძოლო მასალებით, ასევე საკვებით, საწვავით და ა.შ.

– საბოლოოდ, საინტერესოა, რას მიაღწევს, რით შეიძლება დასრულდეს ეს ბუნტი?

– პროგნოზირება რთულია. ჩვენ არ ვიცით, შიგნით, კულუარებში რა ხდება. „ვაგნერის“ ბუნტი რამდენად იქონიებს გავლენას პუტინის ავტორიტეტზე შიდა წრეში, იქ სიტუაციას თუ აკონტროლებს, მომავალში გაირკვევა.

ჩვენ ვნახეთ, ომის დაწყების წინ, საგარეო დაზვერვის შეფს, ნარუშკინს ენა რომ დაება. ზოგს ჰგონია, ეს დადგმული სპექტაკლი იყო. მე ასე არ ვფიქრობ. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ომის დაწყებასთან დაკავშირებით ნარუშკინს განსხვავებული აზრი ჰქონდა. ნარუშკინს ნერვიულობით ენა რომ დაება, იმაზე მიუთითებს, რომ პუტინთან ჯანსაღი დისკუსიის გარემო არ არის.

სტალინთანაც კი ჩვეულებრივი სადისკუსიო გარემო იყო, მიუხედავად იმისა, ოდნავ გადაბრუნებული სიტყვისთვის დახვრეტა ელოდებოდათ. იმ უშიშროების საბჭოს სხდომამ აჩვენა, რომ პუტინთან ასეთი გარემო არ არსებობს. ყველა თოჯინასავით იყო. მზად იყვნენ, ამდგარიყვნენ და ეთქვათ, სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარებას ვემხრობითო. ნარუშკინმა გაბედა.

დიდი ალბათობით, სხვებსაც ექნებოდათ იგივე პოზიცია, რომ პუტინის გადაწყვეტილება შეცდომა იყო. მე უკრაინაში ომის დაწყებას შეცდომად მივიჩნევ. სხვაგვარად შეეძლო გაეკეთებინა. თუკი ჩხუბში შედიხარ და გაილახები, ავტორიტეტს კარგავ. პუტინმა ავტორიტეტი დაკარგა. ახლა შიგნიდან ილახება.

არავინ იცის, დაპირისპირება, საბოლოოდ, როგორ დამთავრდება, გამორიცხული არ არის, რაღაც შეთანხმებამდე მივიდნენ და გაჩერდნენ.

ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული არქიმანდრიტი სასამართლომ 1.500-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა

ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი, ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული 40 წლის არქიმანდრიტი ნერსე სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. არსებული ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ნანა შამათავამ მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, ნარკოდანაშაულში ბრალდებული სასულიერო პირი სასამართლომ 1.500-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

თუ რა პოზიცია ჰქონდათ მხარეებს, ეს უცნობია, ვინაიდან ბრალის წარდგენისა და სხდომის გამართვის შესახებ მედიისთვის ცნობილი არ ყოფილა.

რაც შეეხება თავად სასულიერო პირს, მის ტაძარში „ინტერპრესნიუსთან" საუბარში აცხადებენ, რომ არქიმანდრიტის დაკავება მათთვის შოკისმომგვრელი იყო. მონაზონი მართა, რომელიც წლებია აღნიშნულ ბერთან ერთად ტაძარში მსახურობს, მიიჩნევს, რომ „რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი".

– თავი არაფრით გაუმართლებია, ეს მის სიმართლეზე მიანიშნებს. როცა თავს იმართლებ, მაშინ ხარ დამნაშავე, მე ასე ვფიქრობ. მამა ნერსეს ჩვენთან თავის გამართლება არ სჭირდება, მას ყველა ვიცნობთ. რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო მისი დაკავება, ჟურნალისტებისგან გავიგე, ვერც წარმოვიდგენდი. აქ რასაც ხედავთ, ყველაფერი მამა ნერსეს დამსახურებაა, მუხლის ჩოქებით ასუფთავებდა და აკეთებდა ყველაფერს.

12 წელია, რაც ამ ტაძარში მსახურობს, პატარა იყო, როცა აქ მოვიდა, მაშინ ტაძარი შენდებოდა, არც ეს კელიები იყო. მამა ნერსე ისეთი გაწონასწორებული, ჩამოყალიბებული ადამიანია, რაღაც გაუგებრობაა, მთელი მრევლი ტირის და ვტირით, ჩემთვის მოძღვარი, შვილზე მეტია. მე, როგორც შვილგარდაცვლილ დედას, თანამიგრძნობდა, მან გამაცოცხლა, ასეთი ადამიანი უფალმა გამომიგზავნა. რაც არ უნდა გალანძღონ, რაც არ უნდა ლაქა მიაცხონ, ის, როგორც პატარა ბავშვი, ისეთია, თავისი გულწრფელი გულით. მამა ნერსეს მიმართ რა ინტერესი უნდა ყოფილიყო, არ ვიცი. მამაო, ჩემი უფალი თქვენს გულშია-მეთქი, ვეუბნებოდი. ძალიან მტკივა გული, ვტირი, მრევლი და მთელი უბანი განიცდის. დაკავების შემდეგ, საპატრიარქოში დარეკა და უარი თქვა, აქედან წავიდა. ძალიან გული მტკივა, ასე არ უნდა მომხდარიყო. მის უდანაშაულობაში დარწმუნებული ვარ, – განაცხადა მონაზონმა.

ცნობისთვის, ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნერსე ნარკოდანაშაულისთვის რამდენიმე დღის წინ დაკავეს. მას სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავებიან, რაც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, ან გადაგზავნას გულისხმობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია 12 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, კახეთისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 12 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი 1983 წელს დაბადებული ლ.რ. დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – 2 პისტოლეტი, 2 მჭიდი, 21 ვაზნა და 8 მასრა ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ორი პირი – 1988 წელს დაბადებული ი.ჩ. და 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ფ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, მაკაროვისა და ნაგანის სისტემის პისტოლეტები, მჭიდი და 25 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული 1980 წელს დაბადებული ს.მ.-ს პირადი ჩხრეკისას, ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 7 ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1986 წელს დაბადებული რ.ო. დააკავეს, რომლის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 5 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა კი, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი დააკავეს: 1978 წელს დაბადებული მ.წ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს მაკაროვის სისტემის იარაღი, მჭიდი და ხუთი ვაზნა. 1989 წელს დაბადებული, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი დ.ი.-ს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, პოლიციამ ამოიღო ნარკოტიკული საშუალება, გადაჭრილი სანადირო თოფი „აბრეზი" და ვაზნები, ხოლო 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.კ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 110 ვაზნა, პისტოლეტი და მჭიდი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) და საგამოძიებო სამმართველოების, ასევე წალენჯიხის, მარტვილის და ზუგდიდის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 4 პირი – 1984 წელს დაბადებული მ.ბ., 1958 წელს დაბადებულ გ.ფ., 1964 წელს დაბადებული დ.ბ. და 1984 წელს დაბადებულ გ.ბ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, „ნაგანის" ტიპის 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 4 პისტოლეტი, 6 მჭიდი და 29 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და სსკ-ის 273-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნაფიცმა მსაჯულებმა ქართველი „კანონიერი ქურდი" დავით გერლიანი გაამართლეს



ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ქართველი ე.წ კანონიერ ქურდი დავით გერლიანი, მეტსახელად დათო სვანი გაამართლა. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „პრიმე ცრიმე" ავრცელებს.

პროკურატურამ ნაფიცი მსაჯულების 8 წევრიდან ორის დარწმუნება შეძლო.

დათო სვანს პროკურატურა გამოძალვას და ე.წ. კრიმინალურ სამყაროში უმაღლესი თანამდებობის დაკავებას ედავებოდა.

გერლიანი ცნობილი „კანონიერი ქურდის", როვშან ჯანიევის სიძეა. თავად ჯანიევი 2016 წელს სტამბოლში მოკლეს.

ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტი" რამდენჯერმე არის ნასამართლევი. 1992 წელს სანკტ-პეტერბურგში ის ქურდობის გამო დააკავეს, ხოლო, 2001 წელს ციხეში ყაჩაღობის ბრალდებით მოხვდა.

„ქურდულ სამყაროში" დავით გერლიანი 2014 წლის მარტში „მიიღეს".

ბადრი ესებუას „საქართველოს ბანკის" დაყაჩაღების საქმეზე 13 წლით პატიმრობა მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ „საქართველოს ბანკის" ზუგდიდის ფილიალის დაყაჩაღების საქმეზე ბრალდებული ბადრი ესებუა დამნაშავედ ცნო და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ეკატერინე ბებიამ გამოაცხადა.

„განაჩენს არ ვეთანხმები" – განაცხადა ბადრი ესებუამ სასამართლო დარბაზის დატოვების დროს.

ბრალდების მხარე ბადრი ესებუას მიმართ წარდგენილი მუხლებით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი და მაქსიმალური სასჯელის გამოყენებას ითხოვდა. დაცვის მხარემ კი, ესებუას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

შეგახსენებთ, ბადრი ესებუას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების გამო 4 წელი აქვს მისჯილი. საქმე ეხება 2023 წლის 8 თებერვალს, ჯიხაშკარში, ესებუას დაკავების დროს აღმოჩენილ იარაღს.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის" შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობდა, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

შსს: „საზღვრის დაკეტვის ან სხვა ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არის"

სასაზღვრო საიმიგრაციო კონტროლის სამსახურ „დარიალზე" არსებული მდგომარეობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს.

სამინისტროს განმარტებით, სიტუაცია სრულად კონტროლდება, მიმდინარეობს არსებული მდგომარეობის ანალიზი და ამ ეტაპზე საზღვრის დაკეტვის ან სხვა ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არის.

– მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, სასაზღვრო საიმიგრაციო კონტროლის სამსახურ „დარიალზე" არსებული მდგომარეობის შესახებ.

24 ივნისის მდგომარეობით, სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულ რეჟიმში.

ამ დროის მონაცემებით, მგზავრთა და ავტომობილთა ნაკადების ზრდა არც ერთი მიმართულებით არ ფიქსირდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების მხრიდან სიტუაცია სრულად კონტროლდება, მიმდინარეობს არსებული მდგომარეობის ანალიზი და ამ ეტაპზე, საზღვრის დაკეტვის ან სხვა ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არის, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნუცა ბუზალაძე მოსკოვში სიმღერისთვის ბოდიშს იხდის

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ამას ვაჟღერებ ყველგან და ყოველთვის.

თუმცა, რუსეთში მყავს ბევრი ქართველი მეგობარი. გუშინ, სწორედ ჩემი ძალიან ახლო მეგობრის დაბადების დღე იყო (ის ჩემთვის ოჯახის წევრივით არის). რუსეთში მცხოვრებმა ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ კომერციულ წინადადებებს არცკი განვიხილავ. დაბადების დღეზე ვიყავი მიწვეული სტუმრის რანგში. საღამოს დასასრულს მთხოვეს მემღერა, რაზეც, რა თქმა უნდა, ჩემს საუკეთესო მეგობარს მისსავე დაბადების დღეზე უარი ვერ და არ ვუთხარი.

ვიაზრებ, რომ მთავარი შეცდომა ალბათ ამ სიტუაციაში ჩემი რუსეთში ჩასვლა იყო და არა ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის დაბადების დღეზე დასწრება. არც კი მიფიქრია, ამ ყველაფერს თუ ეს შედეგი მოჰყვებოდა...

ვიაზრებ ჩემს პასუხისმგებლობას და გული მტკივა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველთვის ყველაზე მეტად გვერდში მიდგანან, გული დავწყვიტე და ამისთვის ბოდიში მინდა მოვუხადო ყველას.

ნინი შერმადინი, მომღერალი:

– პირველი ქვა იმან მესროლოს, ვინც უცოდველიაო. ჩემი პოზიცია რუსეთზე ყველამ კარგად იცით, აღარ ჩავუღრმავდები. სწორი იყო თუ არა ნუცას რუსეთში წასვლა? რა თქმა უნდა, არა! განსაკუთრებით ამხელა ტრიუმფის შემდეგ. მეწყინა? კი ძალიან! ასევე მწყინს ყველა ქართველი კოლეგის რუსეთში დანახვა, ხანდახან ხათრი ძალიან გვღუპავს, ზოგჯერ ოჯახის წევრებსაც უნდა ვუთხრათ უარი, მაგრამ ადამიანები საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ.

ამ გოგოს, რომელსაც თქვენ ახლა ასე ხელაღებით აგინებთ, ძალიან ბევრი სიკეთე და წარმატება მოუტანია ჩვენი ქვეყნისთვის. იურმალა, თურქეთი, ალბანეთი, რუსეთი თუნდაც და ბოლოს ამერიკა. იქნებ ვაპატიოთ რამენაირად მეგობრის დაბადების დღეზე სიმღერა. დარწმუნებული ვარ, თვითონ უფრო მეტად განიცდის იმას, რაც ახლა ხდება მის თავს, ვიდრე ჩვენ.

პ.ს. ბოდიშის მოხდა არაა ადვილი საქმე. განსაკუთრებით კოლეგების მხრიდან, ამხელა აგრესია ძალიან უხერხულია. კითხვა გაგიჩნდებათ, მე რატომ არ ვმღერი რუსულად ან რუსეთში. იმიტომ, რომ მე ანტირუსული განწყობა მქონდა და მაქვს, ყველა ადამიანი ინდივიდია, ყველას აქვს უფლება, ის აკეთოს, რაც უნდა და რასაც თვლის სწორად.

თათია კობალაძე, მომღერალი:

– ცოტა ტეხავს! საქართველო, მთელი ერი გედგა გვერდით! არ უნდა წასულიყავი! რა გგონია, მხოლოდ შენ გეძახიან მოსკოვებში კონცერტებზე ან კონკურსებზე? იმის მერე, რასაც რუსეთი აკეთებს, ეგ ნაბიჯი არ უნდა გადაგედგა,?მით უმეტეს, როცა შენ შენს ქვეყანაში მართლა ვარსკვლავად გაქცია ხალხმა! საკმაოდ ბევრი კონცერტი გაქვს და საკმაოდ ცნობადიც ხარ, ანუ ამით იმის თქმა მსურს, რომ შენ გასაქცევად საქმე არ გქონდა! შენს სამშობლოშიც ძალიან კარგად ხარ და ამერიკაშიც უკვე თქვი შენი სიტყვა, სადაც ასევე ქართველების გულშემატკივრობა იყო 99% და ამ გათენებულ ღამეებზე არ უნდა გადაგევლო! კარგად დაფიქრდი და მიხვდები, რასაც ვამბობ! ეს რაც ახლა გააკეთე, არის სირცხვილი! ამ დრომდე მეხვეწებიან იმ პროექტში მონაწილეობას, სადაც შენ წამოგიდგა 100 ჟიური ფეხზე, მაგრამ მე არ მომცა ჩემმა სინდისმა და ქართველობამ იმის საშუალება, რომ მოსკოვებში მემღერა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რატომ ფრთხილობს დასავლეთი?!

რუსეთ-უკრაინის ომმა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხისადმი მიდგომა შეცვალა. თუ აქამდე ევროპას (საუბარია დასავლეთ ევროპაზე) უკრაინის ნატოში მიღებაზე საუბარიც არ სურდა, ახლა ეს ასე აღარაა. ის, რომ უკრაინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება, ეჭვს არ იწვევს არც მიუნხენში, არც პარიზში და არც რომში. ამრიგად, ამ საკითხში აშშ-ევროპას შორის სრული თანხმობაა. დისკუსია მიმდინარეობს მეორე თემაზე: როდის გახდება უკრაინა ნატოს წევრი?

როგორც ცნობილია, ევროპარლამენტმა უკრაინის ნატოში მიღებას მხარი დაუჭირა. ამან ბერლინსა თუ პარიზში დიდი დისკუსიები გამოიწვია. საფრანგეთი და, კერძოდ, პრეზიდენტი მაკრონი მიიჩნევენ, რომ უკრაინას უნდა მიეცეს ე.წ. საგზაო რუკა ნატოში გასაწევრიანებლად.

განსხვავებულია გერმანიის კანცლერ შოლცის პოზიცია.

– რა თქმა უნდა, უკრაინა ნატოს წევრი აუცილებლად გახდება, მაგრამ საუბარი კონკრეტულ ვადებზე ნაადრევია, – მიიჩნევს შოლცი.

სამაგიეროდ, უკრაინის ნატოში დაჩქარებული წესით მიღებას მხარს უჭერს პოლონეთი, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი.

რუმინეთი კვლავ პრორუსულ პოზიციაზეა. უნგრეთის პრემიერმა ორბანმა კვლავ გაიმეორა, რომ უკრაინაში, კერძოდ, იმიერკარპატისპირეთში, უნგრული უმცირესობა იჩაგრება და ასეთ ქვეყანას არც ევროკავშირსა და არც ნატოში არაფერი ესაქმება.

აღსანიშნავია აშშ-ის პოზიცია. პრეზიდენტი ბაიდენი თანახმაა, რომ უკრაინას სრულფასოვანი დახმარება აღმოუჩინოს. ამავე დროს ბაიდენი წინააღმდეგია უკრაინის ნატოში დაჩქარებული წესით მიღების.

დისკუსიები ახალი ძალით გაჩაღდა. მხარეებს კომპრომისი შესთავაზა ისევ ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა. მან განაცხადა, რომ უკრაინის მიმართ ე.წ. ფინური ვარიანტი უნდა გამოიყენონ, ანუ, უნდა დაიწყოს უკრაინის ნატოში დაჩქარებული წესით გაწევრიანების პროცესი.

დასავლეთის სიფრთხილე გასაგებია. უკანასკნელ ხანს რუსეთის მდგომარეობა ფრონტზე გართულდა. მოსკოვმა დაკარგა ზაპოროჟიეს და დონეცკის ოლქების ნაწილი. საუბარია იმ ტერიტორიებზე, რომლებიც რუსეთმა თავისად გამოაცხადა.

როგორც ცნობილია, აქ ე.წ. რეფერენდუმი ჩატარდა, სადაც მოსახლეობამ ვითომ რუსეთთან შეერთებას დაუჭირა მხარი. დიქტატორმა პუტინმაც განაცხადა, რომ უკრაინა აგრესორია, ის რუსეთის ტერიტორიებს იკავებს; რუსეთის კონსტიტუციაკი უფლებას იძლევა, ასეთ შემთხვევაში ბირთვული იარაღი გამოიყენონ.

ამრიგად, მესამე მსოფლიო ომის საფრთხე ნათლად გამოიკვეთა. მიუხედავად ამისა, აშშ-მა უკრაინის დახმარება გააძლიერა. რაც შეეხება ნატოში დაჩქარებული წესით მიღებას, აქ დასავლეთი ფრთხილობს. დისკუსიები გრძელდება.

ბახმუტთან რუსებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე პოზიტიური ცვლილებებია. უკრაინელებმა გაარღვიეს რუსების თავდაცვითი ზღუდე დონეცკთან.

უკრაინელებს წარმატებები აქვთ ავდეევკასა და მარინკასთან. ავდეევკასთან უკრაინელებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამით საბოლოოდ ჩაიშალა ავდეევკის ალყაში მოქცევის გეგმა.

გრძელდება ბრძოლები ბახმუტთან. პუტინის ბრძანებით, ბახმუტთან რუსებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს. მიუხედავად ამისა, ამან საქმეს არ უშველა. უკრაინელები კვლავაც იკავებენ ბახმუტის ქუჩებს და ფლანგებს. ქალაქში მყოფი რუსული ჯარი სავალალო სიტუაციაშია.

ცვლილებებია მეორე ცხელ წერტილში, ლიმანის მიმართულებაზე. აქ რუსების შეტევის შეჩერება მოხერხდა. უკრაინელებმა დაკარგული პოზიციები დაიბრუნეს. ვითარებაც დასტაბილურდა.

ზაპოროჟიეს ფრონტზე უკრაინელების შეტევა გრძელდება. უკრაინულმა არმიამ კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. ოკუპანტები ფრონტს თვითნებურად ტოვებენ და გარბიან.

„მოლდოვის ყველა მოქალაქემ უნდა შეიგნოს, რომ რუსეთი არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მეგობარი“

რუსეთმა მიიღო დადგენილება, რომ მოლდოვის რიგი თანამდებობის პირი ვერ შევა რუსეთში. პასუხად მოლდოვის პარლამენტის სპიკერმა გროსუმ განაცხადა:

– მოლდოვის ყველა მოქალაქემ უნდა შეიგნოს, რომ რუსეთი არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მეგობარი. ასეთი ილუზიები თავის დროზე დიმიტრი კანტემირსაც ძვირი დაუჯდა! სხვა მოლდოველ პოლიტიკოსებზე აღარაფერს ვამბობ, – თქვა გროსუმ.

მოლდოვის პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ რუსები მოლდოველებს პატივს არასოდეს სცემდნენ და მუდამ ზემოდან უყურებდნენ.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.024, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 7.804, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 383, თვითმფრინავები – 314, განადგურებულია 223.810 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

„მის შოტლანდია“ დათვრა და სტადიონზე იჩხუბა

კონკურსის „მის შოტლანდია 2022-ის“ გამარჯვებული ლუსია სოფი ტომპსონი მას შემდეგ დაადანაშაულეს რასიზმში, როდესაც მან სტადიონზე რაგბის თამაშის დროს ჩხუბი მოაწყო.

შეხლა-შემოხლა შოტლანდიის პირველი ლამაზმანის ტიტულის მფლობელსა და სტადიონის თანამშრომელ მცველს შორის 17 ივნისს ედინბურგის სტადიონზე მოხდა, სადაც რაგბის მატჩი მიმდინარეობდა. მომხდარის თვითმხილველები, რომლებმაც ყოველივეს ვიდეოზე გადაღება მოასწრეს, ამტკიცებენ, რომ ტომპსონი ღონისძიებას ნასვამი ესწრებოდა, თავს დაესხა დაცვის თანამშრომელს და რასობრივი შინაარსის შეურაცხყოფა მიაყენა. ზოგიერთი თვითმხილველი იმასაც ამტკიცებს, რომ გოგონამ დაზარალებულს უკბინა.

მას შემდეგ, რაც შემთხვევის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა, ტომპსონი საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის ობიექტად იქცა. ინტერნეტ-მომხმარებლებმა ტომპსონი რასიზმში დაადანაშაულეს, რის შემდეგაც მან ინსტაგრამში საკუთარი გვერდი ხელმომწერებისთვის დახურა.

ადგილობრივმა პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკასთან ბრძოლაში დამარცხდნენ

სამხრეთ აფრიკა – საქართველო 33:23

საქართველოს ნაკრებმა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო რაგბის 20 წლამდე ჩემპიონატის პირველ მატჩში, მასპინძელთა გუნდს ტოლი არ დაუდეს და გამარჯვებასაც იმსახურებდნენ, მაგრამ მეტოქის მგეზავმა ჟან სმითმა და უიღბლობამ, ჩვენს ბიჭებს კიდევ ერთი ისტორიული შედეგის დაფიქსირების შესაძლებლობა არ მისცა.

ორივე გუნდმა 3-3 ლელო გაიტანა და უმცროსი ქურციკების გამარჯვება სმითის ფეხ-ჩუბინობამ განაპირობა, რომელმაც კარში 100%-იანი მაჩვენებლით ურტყა და ტაქტიკური დარტყმებიც უზადოდ შეასრულა. გულდასაწყვეტია, რომ მეტოქემ ორი ლელო მას შემდეგ გაიტანა, რაც ჩვენს 22-ში რაქიდან ბურთი გამოგვივარდა. გარდამტეხი კი ის 8-წუთიანი მონაკვეთი აღმოჩნდა, რომლის დროსაც სამხრეთ აფრიკა კაცნაკლული იყო და უპირატესობის ქულებში ასახვის ნაცვლად, 13 ქულა აქეთ მივიღეთ.

და მაინც, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა, რომლებმაც ერთი თვის წინ ინგლისთან ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს, მთელს მსოფლიოს დაანახეს, რომ მისთვის „დიდი გუნდები“ არ არსებობენ და ქართულ რაგბს უზარმაზარი პოტენციალი აქვს. საქართველო, მასპინძელ სამხრეთ აფრიკასთან (რომელიც ჩემპიონატის მოგების ერთ-ერთი ფავორიტია), განსაკუთრებით მეორე ტაიმში უზარმაზარ სათამაშო უპირატესობას ფლობდა და გამარჯვებასაც იმსახურებდა.

პირველმა ტაიმმა უმეტესად ჩვენს ნახევარზე ჩაიარა. სამხრეთ აფრიკამ ფორვარდებით შემოგვიტია, მაგრამ ძლიერ დაცვას წააწყდა. საწყისი წუთებიდან თან ახლდა მღელვარება, რის გამოც ხშირად ვჯარიმდებოდით და სმითმა მე-3 წუთზე ანგარიში გახსნა. მალევე ჩვენს 22-ში რაქიდან გამოვარდნილი ბურთი კატლეგო ლეტებელემ აიტაცა, ფეხით მოკლეზე გადაიკიდა და ინდივიდუალური, ლამაზი ლელო გაიტანა. სმითმა უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა პირველად მე-12 წუთზე შეუტიეს. ლუკა ცირეკიძე ჩვენი ნახევრიდან დაიძრა, რამდენიმე მბოჭავი ჩამოიცილა, 25-30 მეტრი მოიგო, რასაც ჯარიმა მოყვა. პეტრე ხუციშვილმა ბურთი აუტში გადაიტანა, დერეფნიდან მძლავრი მოლი დაიძრა, რომელმაც, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 10 მეტრი დაფარა, მორკინალების რამდენიმე დარტყმის შემდეგ კი ლაშა ციხისთავმა თანაგუნდელების დახმარებით ლელო გაიტანა და ხუციშვილმა გარდასახა – 7:10.

მასპინძლებმა მალევე შეძლეს ინიციატივის დაბრუნება და ფორვარდები ჩვენს დაცვას თავგანწირვით შეასკდნენ, მაგრამ გაუვალ კედელს წააწყდნენ. 23-ე წუთზე, ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდის შემდეგ, ბურთი მარჯვენა ფრთაზე გაიშალა, დაცვამ თითქოს შეძლო გადაწყობა და სივრცეების შევსება, თუმცა ჯურენზო ჯულიუსმა აკრობატულ ნახტომში ალამთან მაინც შეძლო ლელოს გატანა. სმითმა ურთულესი პოზიციიდან გარდასახა, შესვენების წინ კი ჯარიმით მორიგი 3 ქულა მიითვალა და ტაიმი სამხრეთ აფრიკის გამარჯვებით დასრულდა – 20:7.

მეორე ტაიმში მაყურებელმა რადიკალურად განსხვავებული თამაში იხილა. თუ არ ჩავთვლით 8-წუთიან ჩავარდნას, საქართველო ყველა კომპონენტში დომინირებდა და მეთოდურად ამცირებდა ჩამორჩენას. ისე ჩანდა, რომ უმცროსი ბორჯღალოსნები დამსახურებულ და ამავდროულად, სენსაციურ გამარჯვებას მოიპოვებდნენ, მაგრამ... საგულისხმოა, რომ თამაშის განახლების შემდეგ უმცროსმა ბორჯღალოსნებმა აფრიკელები შერკინებაში ზედიზედ 4-ჯერ დააჯარიმეს. შედეგად, 45-ე წუთზე ხუციშვილმა ჯარიმით სხვაობა შეამცირა, ბურთის კონტროლი გააგრძელა, მეტოქის ნახევარზე ფეხი მოიკიდა და 58-ე წუთზე ლამაზი ლელო გაიტანა.

ამ შეტევაში თორნიკე კახოიძემ ორჯერ გაჭრა ხაზი. პირველ შემთხვევაში შეტევა მარჯვენა ფრთაზე გაგრძელდა, მეორე ეპიზოდში კი, გრძელი პასით მარცხენა ფრთაზე ცირეკიძე მოძებნა და მანაც ლელოთი სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანა, სამწუხაროდ, გარდასახვა არაზუსტი იყო. 62-ე წუთზე ლუკა ხორბალაძემ საჰაერო ბრძოლა მოიგო, რასაც ნიკა ბაბუნაშვილის მძლავრი მიძალება მოყვა და მომრავლებული ჯარიმების ფონზე, აფრიკელები სინბინით დაისაჯნენ. ხუციშვილმა ჯარიმა გაიტანა და სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანა, საქართველოს კი დაახლოებით 9 წუთი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა...

ამის ფონზე მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. მსაჯმა ზედიზედ ორჯერ ეპიზოდებში დაგვაჯარიმა და სმითმა დარტყმა ყველა პოზიციიდან უნაკლოდ შეასრულა, მერე კი ჩვენს 22-ში ერთხელაც გამოგვივარდა რაქიდან ბურთი და ითან ჰუქერმა ლელო, სმითმა კი გარდასახვა გაიტანა.

უმცროსი ბორჯღალოსნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გატყდნენ და 76-ე წუთზე თამაშში კიდევ ერთხელ დაბრუნდნენ. 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი ლელოთი ნიკა ბაბუნაშვილმა დაასრულა. გელა ხელაძეს გარდასახვა გაუცუდდა. დასკვნით წუთებში საქართველო კიდევ ერთი ლელოს გატანით 2 ბონუს-ქულას მიიღებდა, რაც მინიმუმი იყო, რასაც გუნდი იმსახურებდა, თუმცა შედეგიანი შეტევის ორგანიზება ვეღარ მოხერხდა და სამხრეთ აფრიკამ 20-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ მატჩში 33:23 იმარჯვა.

გ ჯგუფის პირველ შეხვედრაში არგენტინამ იტალია 43:15 დაამარცხა და ბონუსიც აიღო. 29 ივნისს, უმცროსი ბორჯღალოსნების მეტოქე სწორედ არგენტინა იქნება.

ლადო კილასონია, მთავარი მწვრთნელი:

– ჩვენი გეგმა იყო, რომ წნეხის გარეშე გვეთამაშა. ჩამოვედით სამხრეთ აფრიკაში და პირველი შეხვედრა გვქონდა მასპინძელ სამხრეთ აფრიკასთან. რაც უფრო დიდხანს დავრჩებოდით თამაშში და ანგარიში იქნებოდა მჭიდრო, ყოველი წუთი იმუშავებდა ჩვენზე. ამ გეგმამ მეორე ტაიმში იმუშავა, როდესაც კარგად წავიდა, რაც დაგეგმილი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, მომენტი, როდესაც შეგვეძლო მისი შემოტრიალება, ხელიდან გავუშვით და სამხრეთ აფრიკამ ეს კარგად გამოიყენა.

ვფიქრობ, ამ ბიჭებით ყველამ უნდა ვიამაყოთ, რადგან ძალიან რთულია ჩამოხვიდე სამხრეთ აფრიკაში და ეთამაშო ასე, ძალიან რთულია, მაგრამ ნამდვილად შეგვეძლო მეტი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

საქართველომ ბელგიას თამაში მოუტრიალა

საქართველო – ბელგია 2:2
თბილისი. დინამო არენა
0:1 დე კუიპერი (15), 0:2 რამაზანი (38), 1:2 წიტაიშვილი (52), 2:2 გულიაშვილი (87)

საქართველო: მამარდაშვილი, ხვადაგიანი (გოჩოლეიშვილი 46), საზონოვი, გელაშვილი (ლომინაძე 81), კალანდაძე, აზაროვი, მექვაბიშვილი, ლ.გაგნიძე (ნ.გაგნიძე 46, გულიაშვილი 71), დავითაშვილი, მოისწრაფიშვილი (წიტაიშვილი 46), გაგუა

ბელგია: ვანდერვოორტი, სიკე (ვან დერ ბრემპტი 81), დე ვინტერი, დებასტი (ალ დახილი 79), დე კუიპერი, დე კეტელერი, კეიტა, ვრანქსი, ბალიკვიშა (დემანი 79), ოპენდა, რამაზანი (რასკინი 71)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის მეორე ტურში ბელგიას ორბურთიანი ჩამორჩენა გაუბათილა, საბოლოოდ ფრედ ეთამაშა და სატურნირო ცხრილში კვლავაც პირველ ადგილზე რჩება.

სანამ უშუალოდ მატჩზე გადავიდოდეთ, ვთქვათ რეკორდზეც – ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე დასწრების რეკორდი თბილისში მოიხსნა. საქართველო-ბელგიის მატჩს 41.886 მაყურებელი დაესწრო და 1996 წლის ევროპირველობის ფინალის (ესპანეთი-იტალია, 34 600) რეკორდი მოხსნა.

ახლა თამაში: რამაზ სვანაძემ ძირითად შემადგენლობაში ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა. მართალია, პორტუგალიელებთან გამარჯვების შემდეგ „ახალგაზრდებს“ ეროვნული გუნდის ფეხბურთელები დაამატა, მაგრამ „არნაგებაზე“ ორიენტირებული შემადგენლობა გამოდგა.

ამ სიფრთხილემ არ გაამართლა. ბელგიელებმა პირველ ტაიმში ორი ბურთი გაგვიტანეს: მე-15 წუთზე ასტერ ვრანქსის ჩაწოდებულ ბურთს სრულიად უმეთვალყურეოდ დარჩენილმა მაქსიმ დე კუიპერმა ადგილი მამარდაშვილის კარში მიუჩინა; 38-ე წუთზე კუიპერი უკვე ასისტენტად მოგვევლინა და ლარჟი რამაზანს გაატანინა.

პირველ ტაიმში ბელგიელებს სხვა მომენტებიც ჰქონდათ. მეტოქე ბევრად უფრო გააზრებულად და აქტიურად თამაშობდა. გვჯობდა ყველა კომპონენტში – ჯანში, სისწრაფეში, ბურთიანად თუ უბურთოდ. მომენტებიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენეს და ამისთვის დავსაჯეთ კიდეც.

შესვენების შემდეგ რამაზ სვანაძემ მოედანზე გიორგი წიტაიშვილი, ნიკა გაგნიძე და გიორგი გოჩოლეიშვილი შეიყვანა, რამაც შედეგი მალე გამოიღო – 52-ე წუთზე წიტაიშვილმა საჯარიმოს გარედან დაარტყა და სხვაობა შეამცირა. მალევე წიტაიშვილის აქტიურობა გიორგი გაგუამ ვერ დაასრულა. გატანა მართებდა ირაკლი აზაროვს, რომელიც ზურიკო დავითაშვილმა მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ ქართველმა ცუდად დაარტყა.

71-ე წუთზე შეცვლაზე შესული ნიკა გაგნიძე დაშავდა და შესაცვლელი თავად გახდა. მოედანზე გიორგი გულიაშვილი გამოჩნდა, ვინაც ქულა მოგვიტანა და საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ურთულესი მატჩი გადაარჩინა.

რამაზ სვანაძე:

– თამაში შემიძლია ორ ნაწილად გავყო. პირველი ტაიმი დისციპლინის ნაკლებობის მაგალითია და ეს ეხება მთელ გუნდს. განსაკუთრებით მაღალი კლასით და ინდივიდუალური ოსტატობით გამორჩეულ გუნდებთან ამას პრობლემები მოჰყვება. მეორე ტაიმი იყო ჩვენი მენტალური სიძლიერის და სწორი მიდგომის მაგალითი. საბოლოო შედეგი, როგორც ემოციური, ისე სატურნირო თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო...

მადლობა ბიჭებს. არ არის მარტივი, ასეთ ჯგუფში ორი ტურის შემდეგ იყო პირველ ადგილზე და წაუგებლად ითამაშო მაღალი დონის გუნდებთან. პირველი ტაიმი უდიდესი გამოცდილება იყო. ყველა ფეხბურთელს არ ეხება, მაგრამ გრანდებთან შედარებით, არ ვართ ასეთ რიტმში თამაშს მიჩვეულები. მადლობა არაჩვეულებრივ გულშემატკივარს. მათ მხარდაჭერას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ და ბოლო თამაშზე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჯგუფური ეტაპი წარმატებით დავასრულოთ...

მოედანზე სიტუაციას მარტო მწვრთნელი ვერ შეცვლის. როდესაც არსებობს რწმენა და ურთიერთგაგება გუნდსა და სამწვრთნელო შტაბს შორის, ნებისმიერი თამაშის გადარჩენის შანსი არსებობს. ის ფაქტორი, რომ სახლში, ჩვენი გულშემატკივრის წინაშე ვთამაშობთ, მნიშვნელოვანია. პირველი თამაშის შემდეგ, არ გვქონდა

უფლება, რომ მოედანი თავაწეულებს არ დაგვტოვებინა...

ნიკა გაგნიძის ტრავმის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს. ამიტომ, ტრავმის სირთულეზე საუბარი არ შემიძლია. ერთი შეხედვით, მსუბუქი დაზიანება არ ჩანს...

ანზორ მექვაბიშვილი:

– ორი განსხვავებული ტაიმი გამოვიდა. ვფიქრობ, პირველ ნახევარი ყველა კომპონენტში დავთმეთ. ვერ ვასრულებდით დავალებებს. გასახდელში საუბარმა, რომელიც სტადიონზე მოსული გულშემატკივრების დაფასებას ეხებოდა, დიდი გარდატეხა შეიტანა თამაშში. ვგრძნობდი, რომ ბიჭებს თამაშის შემოტრიალების ჟინი და ემოცია ჰქონდათ.

შეგვეძლო მოგებაც, თუმცა ასეთი მძიმე ტაიმის შემდეგ, ქულა ძალიან კარგი შედეგია. მადლობა გუნდის პერსონალს, ბიჭებს და გულშემატკივრებს, რომლებიც ერთი წამი არ გაჩერებულან. მატჩის შემდეგ, ქომაგებთან ტრადიციული რიტუალის შესრულებისას, თვალზე ცრემლი მომადგა. არასდროს ვნებდებით, ყოველთვის ვცდილობთ, რომ საუკეთესო შედეგი ვაჩვენოთ და ქომაგი სახლში დამწუხრებული არ გავუშვათ.

ჯაკი მატეისენი:

– პირველი გაშვებული გოლის შემდეგ თამაშში დავბრუნდით, მაგრამ ბოლოს მეორეც გავუშვით. საქართველოს ნაკრების სახით ძალიან ეფექტური გუნდი ვნახეთ, რომელმაც ორი მომენტიდან ორი გოლი გაიტანა, ჩვენ კი საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. შეგვეძლო 5 გოლიც გაგვეტანა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ...

პირველ რიგში, გილოცავთ. ყოველთვის კარგია სავსე სტადიონზე თამაში, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამას თამაშზე გავლენა მოეხდინა, რადგან ჩემი ფეხბურთელები ასეთ გარემოში თამაშს მიჩვეულები არიან. თუმცა, გილოცავთ და პატივისცემას გამოვხატავ ქართველი გულშემატკივრების წინაშე...

რა თქმა უნდა, არის რაღაცები, რაც ვერ შევძელით, მაგრამ ამ თამაშიდან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. ახალგაზრდა ფეხბურთელები მყავს, რომელთაც სურთ, რაც შეიძლება შორს წავიდნენ და ბოლომდე იბრძოლებენ. ბოლო ტურში მოგება გვინდა, მაგრამ პორტუგალიასაც იგივე მიზანი აქვს. ძალიან იმედგაცრუებულები ვართ. 10-ჯერ უფრო იმედგაცრუებული ვარ, ვიდრე ნიდერლანდებთან მატჩის შემდეგ. უნდა გავაანალიზოთ, რა იყო კარგი და რა – არა. თუმცა, როცა ყველაფერი ხელში გაქვს და კარგავ, ამის მონელება ძალიან რთულია.

სატუჩნიო ცხრილი:

1.საქართველო	2	1	1	0	4-2	4
2.ბელგია	2	0	2	0	2-2	2
3.ნიდერლანდები	2	0	2	0	1-1	2
4.პორტუგალია	2	0	1	1	1-3	1

ჯგუფის დასკვნით მატჩში, 27 ივნისს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ნიდერლანდების 21-წლამდელთა გუნდს დაუპირისპირდება, ხოლო მეორე მატჩში ბელგია და პორტუგალია ითამაშებენ.

ფლეი ოფში გასასვლელად, ნიდერლანდებთან ფრეც გვეყოფა. ერთია, შესაძლოა, ფრე პირველ ადგილზე გასასვლელად საკმარისი არ იყოს, რადგან არის იმის ალბათობაც, რომ ბელგიამ 3-ბურთიანი სხვაობით დაამარცხოს პორტუგალია და უკეთესი სხვაობით გვაჯობოს.

პირველი ადგილი კი იმით არის კარგი, რომ მეოთხედფინალში ც ჯგუფის (ინგლისი, გერმანია, ისრაელი, ჩეხეთი) მეორეადგილოსანს „მიხეილ მესხზე“ შევხვდებით. სხვა შემთხვევაში, ქუთაისში ვითამაშებთ და ც ჯგუფის პირველ ადგილზე გასულ გუნდთან.

არის ვარიანტიც, ფლეი ოფში წაგების შემთხვევაშიც გავიდეთ. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პორტუგალია ბელგიასთან არ დამარცხდება. პორტუგალიელთა გამარჯვება კი არ გვაშინებს იმიტომ, რომ თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა გვაქვს ურთიერთშეხვედრაში.

შენგელია იტალიაში ვერცხლს დასჯერდა

თორნიკე შენგელია იტალიის სერია ა-ს ვერცხლის პრიზიორია. ჩვენებურის ვირტუს ბოლონია ფინალური სერიის მე-7, გადამწყვეტ მატჩში მილანში, ოლიმპიასთან 55:67 დამარცხდა და შარშანდელის მსგავსად, ვერცხლის მედალს დასჯერდა.

სეზონის ბოლო მატჩი ქართველმა ფორვარდმა კარგად ითამაშა. ის ბოლონიელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. შენგელიამ თამაში ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 32 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 3 პასი მიითვალა. თორნიკემ 3-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო. თოკოს სარგებლიანობის კოეფიციენტი 14-ს გაუტოლდა, ეს კი სტუმართა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. თუმცა, ამან ბოლონიელებს ვერ უშველა. საინტერესოა, რომ ვირტუსმა თამაშის პირველ მეოთხედში 9 ქულა ჩააგდო, მესამეში კი – მხოლოდ 5.

მილანელთა უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში აშკარა იყო და მათ გადამწყვეტი თამაში სრულიად სამართლიანად მოიგეს.

ლიპარტელიანის მორიგი ვერცხლი

მონღოლეთის დედაქალაქ ულან ბატორში გამართულ გრანდ სლემზე სამი ქართველი ძიუდოისტი ჩავიდა და კვარცხლბეკზე მხოლოდ ერთი მათგანი ავიდა. როგორც „სჩვევია“, ვარლამ ლიპარტელიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ჩვენებურმა გერმანელი კილიან კაპელმერი, პორტუგალიელი ჟორჟ ფონსეკა და იაპონელი აარონ ვულფი მიყოლებით დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანს ნევაზაში მოუგო.

ფინალში ლიპო, რომელსაც ტრავმა აწუხებდა, მასპინძელ გონჩიგსურენ ბატხუიაგს დაეჭიდა. მონღოლმა ძიუდოისტმა ჩვენებური კონტრილეთზე დაიჭირა და ოქროს სახლში დაიტოვა.

ამავე წონაში ონისე სანებლიძემ ყაზახ ნურლუხან შარხანსა და გერმანიის სახელით მოასპარეზე გიორგი უძილაურს იპონებით მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში რუს არმან ადამიანთან წააგო, რის შემდეგ რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც უკვე პოლონელ პიოტრ კუჩერასთან დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

მძიმე წონაში საბა ინანეიშვილმაც კარგად დაიწყო: ჯერ გერმანელი ერიკ აბრამოვი დაამარცხა, შემდეგ იაპონელ ჰიოგა ოტას იპონით მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე უშანგი კოკაურთან დამარცხდა და მედლისთვის ბრძოლა რეპეშაჟში უნდა გაეგრძელებინა, თუმცა, ტრავმის გამო ტურნირს ჩაეხსნა.

ვემბანიამა დრაფტის პირველ ნომრად სან ანტონიომ აიყვანა

ნიუ იორკში, „ბარკლაის-ცენტრში“ ნბა-ს 2023 წლის დრაფტი გაიმართა და სან ანტონო სპურსმა პირველ ნომრად ფრანგი ცენტრი, ვიქტორ ვემბანიამა აირჩია. ეს მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ვემბანიამას საუკუნის ტალანტად მიიჩნევენ და სპურსიც მის არჩევისკენ ჯერ კიდევ გასული სეზონიდან ისწრაფოდა.

19 წლის ფრანგი წინა სეზონში ფრანგულ მეტროპოლიტან 92-ში თამაშობდა და ქვეყნის ვიცეჩემპიონი გახდა. ვემბანიამას გუნდმა ფინალი მონაკოსთან წააგო, რომლის ერთ-ერთი მწვრთნელი მანუჩარ მარკოიშვილია.

ვიქტორ ვემბანიამა:

– სიტყვებით გადმოცემა მართლა არ შემიძლია. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შეგრძნებაა, რომელიც ცხოვრებაში მქონია. უმაგრესი საღამოა ჩემს ცხოვრებაში. ამაზე დიდხანს ვოცნებობდი და ეს ახდენილი ოცნებაა. დაუჯერებელია.

ვემბანიამა გახდა მეექვსე კალათბურთელი, რომელიც ნცაა-ში თამაშის გამოცდილების გარეშე, დრაფტზე პირველ ნომრად აირჩიეს. გახდა მეორე ევროპელი კალათბურთელი იტალიელ ანდრეა ბარნიანის შემდეგ, რომელიც ასევე პირველი ნომერი იყო.

სამეული ასე განაწილდა: ბრენდონ მილერი მეორე ნომრად შარლოტ ჰორნეტსმა აიყვანა, სკოტ ჰენდერსონი – პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა.

დრაფტის საუკეთესო ათეულში შევიდნენ: ამენ ტომპსონი, ოსარ ტომპსონი, ენტონი ბეიკი, ბილალ კულიბალი, ჯერეს ვოლკერი, ტეილორ ჰენდრიქსი, კეისონ ვილაჯი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 2. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 9. ყვითელი ფერის, მტკიცე, გამჭვირვალე მინერალი; 11. სამშობიარო სახლის სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. წერილობითი ხელშეკრულება; 16. კვანტური გენერატორი; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. გრძელ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 22. ღვინის ვაჭარი ძველად.

თარაზულად: 5. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 7. მჭერმეტყველი ადამიანი; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 10. ღამის პეპელა; 12. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ელჩის განწვევა სახელმწიფოდან; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 20. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 23. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 24. ქართული ლუდი; 25. უღელტეხილი კავკასიონზე; 26. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 27. გულის ნორმალური მუშაობის რიტმის დარღვევა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბეიჯინი; 2. პუშკაში; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიზნესი; 9. ვილაიეთი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. პუებლო.

თარაზულად: 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ყინვალი; 11. შოვი; 14. ყინწვისი; 15. ტალახაძე; 18. კოპოლა; 21. სალომეა; 22. გურჯი; 23. იაოტო; 24. კაბელტოვი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბლოგი; 2. დაფნე; 3. გრივნა; 4. ვერიკო; 6. ჰოდიუმი; 9. სანტე; 11. ველვეტი; 15. ხორნაბუჯი; 16. სატივე; 17. მისისიპი; 19. ამანათი; 21. მაქმანი; 22. გრიგო.

თარაზულად: 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ორბანი; 10. ბარბერი; 12. კარნო; 13. ელესა; 14. კატეხიზმო; 18. ლავრა; 20. ტანინი; 23. ურნალი; 24. ქუჯი; 25. დავოსი; 26. გაჯი; 27. ინდოეთი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

26 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6260	ევრო — 2.8891
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3552	100 რუსული რუბლი — 3.1393

ამინდის პროგნოზი 26 ივნისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორდომ ზურიკო დავითაშვილი გამოისყიდა

ზურიკო დავითაშვილი ოფიციალურად ბორდოს ფეხბურთელია. მანამდე ის ფრანგულ გუნდში იჯარით თამაშობდა და მასზე უფლებები ბათუმის დინამოს ეკუთვნოდა. დავითაშვილმა ბორდოში ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და ამის გამო ბორდომ გადაწყვიტა მისი გამოსყიდვა. დავითაშვილი საქართველოს ნაკრებშიც ნაყოფიერად მოქმედებს და მან კვიპროსის წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

მამარდაშვილის შეძენით ინტერიც დაინტერესდა

ვალენსიას ქართველ მეკარეს გიორგი მამარდაშვილს ბევრი მსურველი ჰყავს და რამდენიმე ინგლისური კლუბის გარდა, მისი შეძენით ინტერიც დაინტერესდა. ინტერი შესაძლოა ონანამ დატოვოს, რომელიც პირველი გოლკიპერია და მილანურ გუნდს მამარდაშვილი მის შემცვლელად ესახება. ინტერის გარდა, გიორგის ყიდვა ჩელსის და ტოტენჰემს სურთ და დიდი ალბათობით, ქართველი მეკარე ვალენსიას დატოვებს.

ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება სურს

ბარსელონას ყოფილ ფეხბურთელს ნეიმარს, რომელიც ამჟამად პსჟ-ს ღირსებას იცავს, ბარსელონაში დაბრუნება სურს და შესაძლოა ეს ტრანსფერი უკვე რამდენიმე კვირაში განხორციელდეს. ნეიმარი მზად არის ანაზღაურების შემცირებაზე, მაგრამ ბარსელონა მის დაბრუნებას არ ჩქარობს, რადგან ხავის გეგმებში ჯერჯერობით ბრაზილიელი არ შედის. ბარსელონა ნეიმართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:
– შენ მე მღალატობ!
– საიდან მოიტანე?
– შენი პიჯაკის ჯიბეში პრეზერვატივები ვიპოვე!
– ნახმარი იყო?
– არა, გამოუყენებელი.
– მერე, აბა საიდან დაასკვენი, რომ გღალატობ!

•••

საბავშვო ბაღში ბავშვები არკვევენ, თუ რომელი საიდან გაჩნდა.
ერთი ამბობს:
– მე წერომ მომიყვანა.
მეორე ამბობს:
– მე მაღაზიაში მიყიდეს.
მესამე კი ამბობს:
– ჩემი მშობლები ღარიბები არიან და მამაჩემს ყველაფრის გაკეთება თვითონ უწევს...

•••

ექიმი მამაკაცს ეუბნება:
– იცით, რომ ანტიბიოტიკები და ალკოჰოლი ერთმანეთს ვერ ეწყობიან?
– დიახ, ექიმო.
– ჰოდა, დღეს არავითარი ანტიბიოტიკები, კაცურად დაისვენეთ!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– ძვირფასო, დღეს სტუმრები გვეყოლება და სუფრისთვის რაიმე მოამზადე.
– პრობლემა არაა, მხოლოდ ის მითხარი, ისე მოვამზადო, რომ კიდევ მოვიდნენ, თუ აღარასოდეს?

•••

ცოლი ქმარს ეჩხუბება და ეუბნება:
– შენ უჩემოდ ვერ იცხოვრებ!
– ვიცი, უზომო ბედნიერება მომკლავს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნუცა ბუზალაძე მოსკოვში სიმღერისთვის ბოდიშს იხდის

მომღერალი ნუცა ბუზალაძე მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც სხვა ქართველ მომღერლებთან ერთად იმღერა. როგორც თავად ამბობს, რუსეთის დედაქალაქში უახლოესი მეგობრის დაბადების დღეზე ჩავიდა და სიმღერაზე უარი ვერ უთხრა.

ინტერნეტში ეკატერინე სტეფანოვამ გაავრცელა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ მოსკოვში ქართველმა მომღერლებმა – სოსო პავლიაშვილმა, დათო ხუჯაძემ, ნუცა ბუზალაძემ, ხვიჩა მაღლაკელიძემ, მიშო სულუხიამ ერთერთ რესტორანში „სამშობლო“ იმღერეს.

– მადლობა, რომ ჩვენ, ყველა ერთად, ქართულად ვმღერით! ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. ჩვენ ვიმარჯვებდით, ვიმარჯვებთ და გავიმარჯვებთ ყოველთვის, – მიმართა რუსულ ენაზე სოსო პავლიაშვილმა შეკრებილ აუდიტორიას.

ღონისძიებაზე იმღერა მეგი გოგიტიძემაც. მიშო სულუხიამ კი „ჰერიო ბიჭებო“ შეასრულა.

ინტერნეტში ვიდეოს გავრცელების შემდეგ, ქართველი მომღერლები საქართველოში გააკრიტიკეს.

მიშო სულუხია:

– უიჰჰ, როგორც იქნა, მეც გავეხვიე ერთ ნორმალურ სკანდალში. კი, ოკუპანტ ქვეყანაში 6 წლის უნახავი დის სანახავად და მეგობრის დაბადების დღეზე ჩავედი, ჩემი მეგობრის! სცენაზეც ავედი. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ეს კონცერტი იყო და ამაში ფული ავიღე? არა, არ არის მართალი. საზოგადოების მოტყუება ცუდი საქმეა, არ ვიცი, ეს ვინ გააკეთა, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს არც კონცერტი და არც არანაირი მნიშვნელობის მქონე ღონისძიება არ ყოფილა. ქართველი გოგონას დაბადების დღე იყო და იქ შეკრებილი ადამიანებიც ქართველები იყვნენ. საჯარო შეფასებების დროს სწორი ინფორმაციის ცოდნა და უფრო მეტი ინტელექტის გამოვლენაა საჭირო, ვიდრე სოსო პავლიაშვილის გვერდით დადგომა სამშობლოს ღალატად ფორმულირებაა.

მოსკოვში ჩასვლასა და სიმღერაზე **ნუცა ბუზალაძემ** ბოდიში საჯაროდ მოიხადა:

– მე თქვენ ძალიან დაგწყვიტეთ გული და თავს ვალდებულად ვთვლი, აგიხსნათ ყველაფერი, რადგან მე ეს ძალიან მაწუხებს. ძალიან განვიცდი. ვეცდები, აზრებს თავი მოვუყარო და გითხრათ ჩემი სათქმელი.

რუსეთი არ წარმოადგენს იმ ბაზარს, სადაც აწმყოში თუ მომავალში ვისურვებდი ჩემი კარიერის გაგრძელებას. მრავალი შემოთავაზების მიუხედავად, ყველა პროექტზე თუ კორპორატიულ შემოთავაზებაზე უარი მაქვს ნათქვამი. ჩემი ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად მტკიცე და გააზრებულია. ჩემი რუსეთში ან/და რუსებისთვის სიმღერა არც კი განიხილება, უფრო მეტიც, მიწვეული ვარ უკრაინაში საქველმოქმედო კონცერტზე. სწორედ ამ კონცერტზე, კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ ჩემს აზრს – რუსეთი ოკუპანტია!

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ნინო ქათამაძე ლონდონში პირველ კონცერტს გამართავს

მომღერალი ნინო ქათამაძე თავის კარიერაში პირველად ლონდონში კონცერტს გამართავს.

26 ივნისს დაგეგმილ კონცერტზე მომღერალი ჯგუფ „ინსაიდთან“ მის რეპერტუარში არსებულ უკვე კარგად ნაცნობ სიმღერებთან ერთად, სრულიად ახალ მუსიკალურ კომპოზიციებსაც შეასრულებს.

ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებული თანამშრომლები „მზიურში“ შეიკრიბებიან

26 ივნისს კაფე „მზიურში“ ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებული თანამშრომლები შეიკრიბებიან. ისინი დაინტერესებულ საზოგადოებას კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარდგენაზე ეპატიჟებიან.

ღონისძიებაზე განხილული იქნება ინსტიტუტის სტრუქტურა, ზოგადი და სამომავლო მიზნები და ამოცანები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გოგონამ 127 საათი იცეკვა და რეკორდსმენი გახდა

ინდოელმა გოგონამ მცირე შესვენებებით ზედიზედ 127 საათი იცეკვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

16 წლის სრუშტი სუდხირ ჯაგტაპმა თავისი სკოლის ერთ-ერთ კაბინეტში 29 მაისს დილით დაიწყო ცეკვა და 3 ივნისის შუადღისით დაასრულა. საერთო ჯამში კი 127 საათი იცეკვა.

ინდოელმა შეასრულა კატხაკი, ინდური კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი სახეობა. ყოველი ერთი საათის ცეკვის შემდეგ გოგონას ხუთწუთიანი შესვენების გაკეთების უფლება ეძლეოდა. ასევე, ეს პაუზები მას შეეძლო დაეგროვებინა ღამის საათებში უფრო ხანგრძლივი შესვენებისთვის.

– ჩემი მიზანი ჩვენი ინდური კულტურის წარმოჩენაა, – განუცხადა გოგონამ გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებს.

წინა რეკორდი 126 საათს შეადგენდა და ის 2018 წელს ნეპალელმა მოცეკვავემ ბანდან ნეპალმა დაამყარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა მინდორში უძველესი ბეჭედი იპოვა

დიდ ბრიტანეთში მამაკაცმა მინდორში იპოვა ოქროს ბეჭედი, რომელიც უძველესი არტეფაქტი აღმოჩნდა და რომელიც შემდეგ აუქციონზე 23 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ალბერტ ტეილორმა, რომელიც ლითონმაძიებელი მოწყობილობით ნივთების მოძიებითაა გატაცებული, ესექსის საგრაფოში, ქალაქ როქსველის მახლობლად, მინდორში ოქროს ბეჭედი იპოვა. რვა გრამის წონის ბეჭედი დამშვენებული იყო ფრთებგაშლილი მტაცებელი ფრინველის გამოსახულებით და წარწერით „ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის“.

ინგლისელმა ნაპოვნი ბეჭდის თაობაზე ადგილობრივ ხელისუფლებას აცნობა და ცდილობდა ის ბრიტანეთის მუზეუმისთვის შეეთავაზებინა, მაგრამ იქ ამ შეთავაზებით არ დაინტერესებულან. მაშინ ტეილორმა ბეჭედი ლონდონში აუქციონზე გაიტანა გასაყიდად. იქ არტეფაქტი 18 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა, ხოლო აუქციონერების ჰონორარის ჩათვლით, საბოლოო თანხამ, რომელიც ტეილორმა მიიღო, 23 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

აუქციონის სახლის წარმომადგენლის ბრეტ ჰამონდის თქმით, ბეჭედი კოლექციონერებისთვის საინტერესო ნივთს წარმოადგენდა, ვინაიდან ის შესაძლოა მოსამართლე უილიამ სკრინს ეკუთვნოდა, რომელიც ინგლისში მე-14 საუკუნეში ცხოვრობდა და ბეჭედი სწორედ იმ ნაკვეთში იქნა ნაპოვნი, რომელიც ადრე სწორედ სკრინის მამულს წარმოადგენდა.

მკვლელი ვეშაპი პენსიონერის იახტას თავს დაესხა

შოტლანდიის კუნძულების სანაპიროსთან მკვლელი ვეშაპი, რომელიც ასევე ცელნამგალა ვეშაპის სახელითაცაა ცნობილი, თავს დაესხა 72 წლის ჰოლანდიელი პენსიონერი ფიზიკოსის ვიმ რუტენის იახტას.

აღნიშნული ინციდენტი 19 ივნისს მოხდა, როდესაც იახტა შოტლანდიის ქალაქ ლერუიკიდან ნორვეგიის ქალაქ ბერგენისკენ მიემართებოდა. ვეშაპი შვიდმეტრიანი იახტის უკანა ნაწილს დაეჯახა.

– წამოვიძახე: „ეშმაკმა დალახვროს!“ – იხსენებს რუტენი, – ყველაზე მეტად ცხოველის ხმამაღალმა სუნთქვამ შემაშინა.

პირველი შეჯახების შემდეგ ვეშაპი იახტის უკან დარჩა და თვალთახედვის არიდან გაუჩინარდა, თუმცა მალევე გამოჩნდა და იახტას დიდი სისწრაფით დაეტაკა. პენსიონერის თქმით, ორი თუ სამი დარტყმის შემდეგ მკვლელი ვეშაპი გარკვეული დროის განმავლობაში იახტის გარშემო ტრიალებდა.

– იქნებ მას უბრალოდ თამაში სურდა. ან ჩემთვის თვალებში სურდა ჩაეხედა, – განაცხადა პენსიონერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. უღელტეხილი კავკასიონზე; 2. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფი, პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. უკმაყოფილების მძაფრი გამოხატვა; 13. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 16. მდინარე გაგრაში; 17. ქართული მინერალური წყალი; 19. ქართული ხალხური ზღაპარი; 20. დილის სადილი.

თარაზულად: 6. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული ქალ-ვაჟის ცეკვა; 10. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 11. ქვით ნაგები ღობე; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 21. ყურის ექიმი; 22. ღვინის სასმისი; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც დაარბია და გაძარცვა რომი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა